# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 თებერვალი, 2009 წელი.

№ 24 (6125)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.





მარკუზეიდერი არა, მაგრამ ერთი პროფესიონალი მასხარა კი აუცილებლად საჭირო სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში

## ისეთ ცხოვრებას რა უშველის, კაცს პრეზიდენტის ავადმყოფობას რომ განატრებინებს! 3

## ღმერთმა დალოცოს საქართველო და ბაგრატიონთა გვარი!!!



კვირას, 8 თებერვალს წმიდა სამების საკათედრო ტაძარში ჯვარი დაიწერეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიის შთამომავლებმა დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკიმ. ღმერთმა დალოცოს საქართველოს სამეფო დინასტია, მათი შთამომავლები და სრულიად საქართველო.

*ნეფე-დედოფალს მტერიც დალოცავს,*  
*მოყვარემ დაე, სიტყვა ივალოს:*  
*თქვენ აწი გელით დიდი გამოცდა,*  
*დე გეკამკამოთ, როგორც მთის წყაროს!*

ელგუჯა სულთანიშვილი,

80 წლის რუსთაველი ინჟინერ-მეტალურგი, მონარქისტი.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



## ეჯიმიაწინი თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემას უპირობოდ მოითხოვს... 9

***თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემა არ შეიძლება, რადგან სომხურმა მხარემ ვერ წარმოადგინა სარწმუნო საბუთები ამ ეკლესიის თავიდან სომხურობის შესახებ.***

**ირანის ისლამური რევოლუციის 30 წლისთავი**

მოჰთაბა დამირჩილუ:

## საქართველო-ირანის ურთიერთობაში სხვა ქვეყნის ჩარევა უარყოფითად მოქმედებს 5



***საქართველოში არ მომწონს ის, რომ ხშირად მთავრობის ქაოსური ცვლილებები ხდება და არ არის სტაბილურობა ქვეყანაში***

## კრიზისმა ბერეზოვსკის ბადრის მილიარდები გაახსენებინა

ИЗВЕСТИЯ 8



# ბენდუქიძე გაიტანეს 6

მთავრობამ ის ტოტი მოჭრა, რომელზეც თვითონ იჯდა

**განცხადება**

## მიხეილ სააკაშვილი:

# საქართველოს ამერიკის ურყევი და სერიოზული მხარდაჭერა კვლავ ექნება

**მიუნხენში მიმდინარე უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა პრესისთვის კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის მხრივ საქართველოს ურყევი და სერიოზული მხარდაჭერა კვლავაც ექნება.**

თავის მხრივ, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ამერიკა არასდროს არ აღიარებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას". აშშ-ის ეს პოზიცია ჯო ბაიდენმა რუსეთის ვიცე-პრემიერთან სერგეი ივანოვთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ, ცალსახად დააფიქსირა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ვაშინგტონი კვლავაც განაგრძობს თბილისის ფინანსურ დახმარებას. მისი თქმით, ეს ძალზე მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე და მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯო ბაიდენს ქართულ მხარესთან ძალზე კონსტრუქციული შეხვედრა ჰქონდა.

ასევე სრულიად ნათელია, რომ ყველა მოლაპარაკებისას, რომელიც რუსეთსა და ამერიკას შორის გაიმართება, საქართველოს უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმობა. ეს ახლა გადამწყვეტია საქართველოს უსაფრთხოებისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის და საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის.

* * *

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიუნხენის მსოფლიო უსაფრთხოების 45-ე კონფერენციაზე ჟურნალისტებთან რუსეთის პოზიციაზე ისაუბრა. მისი თქმით, რუსეთი ცდილობს ევროპას გარკვეულ საკითხებზე „მსუყე ლუკმის" შენარჩუნების სანაცვლოდ მოელაპარაკოს. ამ „ლუკმაში" კი ის ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებს გულისხმობს.**



— მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში აზრთა სხვადასხვაობაა და დღევანდელი კრიზისის პირობებში ევროპა ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ამერიკა, ევროკავშირსა და ნატოს პოზიცია არის ერთმნიშვნელოვანი — ევროპა არასდროს დაუშვებს კომპრომისს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით.

არავინ არ დაუშვებს საბჭოთა კავშირის აღდგენას და საქართველოს დაბრუნებას ძველი გავლენის სფეროში. ამის მცდელობა, ძალიან ძვირად დაუჯდება ნებისმიერს. ამერიკა არ დაუშვებს, რომ ჩვენი რეგიონი გავლენის სფეროებად დაიშალოს, რასაც ჩვენი არაკეთილმოსურნე ასე გულმოდგინედ ცდილობს. ამერიკა არც იმას დაუშვებს, რომ ვინმემ რომელიმე ალიანსში შესვლა დაგვიშალოს. ამაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ჩვენი სწრაფვა ნატოსკენ. ყოველივე ეს ჩვენი საუბრისას დადასტურდა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ჯი-ეიჩ-ენი

**განსჯა**

**ევროპა-რუსეთის და აშშ-რუსეთის ურთიერთობების სავარაუდო პერსპექტივაზე, იმაზე, შეძლებს თუ არა დასავლეთი რუსეთის იძულებას უარი თქვას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე და დაიწყოს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია, ასევე, ეკონომიკური კრიზისის ფონზე რუსეთში პოლიტიკური პროცესების სავარაუდო სცენარებზე, „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**



## სოსო ცისკარიშვილი:

## რუსეთის ხელისუფლება ჯერჯერობით არ არის მზად, რომ მოისმინოს რაიმე გონივრული არა მხოლოდ დასავლეთისგან, არამედ მამალმერთისგანაც

**— ბატონო სოსო, რამდენად შეძლებს დასავლეთი მოსკოვის დარწმუნებას კრემლის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული პოლიტიკის შეცვლაში და მის მიერვე ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის დაწყების აუცილებლობაში?**

— რუსეთის ხელისუფლება ჯერჯერობით არ არის მზად მოისმინოს რაიმე გონივრული არა მხოლოდ დასავლეთისგან, არამედ მამალმერთისგანაც, რადგანაც ისინი გასული წლის აგვისტოში საქართველოში მიღწეული წარმატებისაგან ეიფორიაში არიან. ეს საკითხი მათი შიდაპოლიტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ვითარებაში, როცა რუსეთში დღეს არსებული ძალიან რთული ეკონომიკური ვითარება შიდაპოლიტიკური კრიზისის ხასიათსაც იძენს, ცხადია, კრემლი, რაიმე ტიპის ნაბიჯზე, რომელიც შეასუსტებს მის ავტორიტეტს ქვეყნის შიგნით, თავის სურვილით ვერ გადადგამენ.

ამდენად, მოლოდინი იმისა, რომ რაიმე ტიპის შეთანხმება მათ ხელს აალებინებს მათ მიერვე აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზე, ძნელად წარმოსადგენია. ეს წარმოუდგენელია მანამდე, ვიდრე ხელისუფლება ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებაზე საკუთარი პოლიტიკური პასუხიმგებლობის დაყენების საფრთხეს არ იგრძნობს. ვგულისხმობ მშიერ ბუნტს, რომელიც რუსეთის ისტორიაში ყოველთვის მწვავეა ხოლმე და, შესაძლოა, 21-ე საუკუნეში შედეგიანიც გამოდგეს.

**— ობამამ მოსკოვს ბირთვული იარაღის 80 პროცენტით შემცირება შესთავაზა, თავის მხრივ რუსეთი აშშ-სგან დაჟინებით მოითხოვს უარი თქვას ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განლაგებაზე. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ კრემლი ცდილობს აშშ-ს ახალი პრეზიდენტის თავდაცვის ვითარებაში ჩაყენებას. თქვენი აზრით, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, როგორი პერსპექტივა აქვს ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობებს?**

— მოსკოვს საერთაშორისო ურთიერთობებში ხულიგნური ქმედებები გაუტკბა. ასეთი დამოკიდებულებით მოსკოვი აშშ-სთან წარმატებას ნამდვილად ვერ მიაღწევს. ბარაკ ობამა არ გახლავთ სათბურში გამოზრდილი უსუსური ბიჭი, რომ გალმიდან უკმეხი შეძახილებით და ქმედებებით რაიმე ტიპის დათმობაზე წაიყვანო.

ობამასაც, უპირველეს მოსაგვარებლად, კისერზე ქვეყნის დიდი ეკონომიკური პრობლემები აწევს, შესაბამისად, აშშ-საერთაშორისო ასპარეზზე ამ პრობლემების გათვალისწინებით მოიქცევა. უდავოა, რომ ამერიკა უფრო მალე დაძლევს ეკონომიკურ კრიზისს, ვიდრე რუსეთი. ამის შემდეგ ცხადია, რომ ამერიკის პოლიტიკა რუსეთის მიმართ თანდათან სულ უფრო გამკაცრდება და ბოლოს და ბოლოს იგი მიუჩენს რუსეთს თავის ადგილს მსოფლიო პოლიტიკაში.

**— არა მგონია, კრემლში არ ესმოდეთ, რომ რუსეთს დასავლეთის დაუხმარებლად ეკონომიკური კრიზისის დაძლევა გაუჭირდება. ეკონომიკური კრიზისისა და პრინციპულ საკითხებში რუსეთის მიმართ დასავლეთის ასევე პრინციპული პოზიციის გამო, რამდენად სავარაუდოა, რუსეთმა მიიღოს დასავლეთის თამაშის წესები, უარი თქვას თვითიზოლაციაზე და ცვლილებები შეიტანოს თავის საგარეო პოლიტიკაში?**

— რუსეთის ხელისუფლებას რეზერვების მწირი მარაგი ეწურება, რომელიც მას აქვს. ცხადია, ეს არა მარტო ქართული განწყობა გახლავთ. ასეთ ვითარებაში, რუსეთი ცდილობს გაამკაცროს საკუთარი ხედვა ამა თუ იმ საკითხზე. კრემლს ჯერ უკანდახევის პერიოდი არ დადგომია, რადგან მიაჩნია, რომ მას ქვეყნის შიგნით პროცესების მართვის რესურსი ჯერ აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ არსენალში ქვეყნის მართვის მხოლოდ საბჭოური გამოცდილებაა.

ვითარებაში, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში აქციებში მონაწილეობისთვის სტუდენტებს უნივერსიტეტებისგან რიცხავენ, აქციების დასაშლელად შინაგან ჯარს იყენებენ, სტაბილურობის დაცვა შეუძლებელია და ამგვარი ქმედება ხელისუფლებას შედეგს ვერ მოუტანს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება ყველა შესაძლო დასაშვებ ზღვარს გადაცდება, ამის შემდეგ დაიწყება უკვე სასოწარკვეთილების ეტაპი, რაც შესაძლებელია აიძულებს რუსეთის ხელისუფლებას უფრო ლოიალური და დამთმობი გახდეს საკუთარი იმპერიული ამბიციების დასათრგუნად. ამის დრო ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.

არ უნდა იყოს იმის ილუზია, რომ პოლიტიკის შეცვლის შემთხვევაში კრემლი საქართველოს მიმართ აღმოჩნდება გულაჩუყებული და დამთმობი. ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს, თუ დასავლეთი რუსეთის მიმართ ზეწოლის ყველა არსებულ ინსტრუმენტს სერიოზულად და მნიშვნელოვნად გაამკაცრებს.

კობა ბენდელიანი

**ინფორმაცია**

### „პროვოკაცია ჟენევის კონფერენციის წინ"

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მტკიცებით, 8 თებერვალს, ღამით ცხინვალის მიმართულებით „ერპე-გე 7" ტიპის ყუმბარმტყორცნიდან ორჯერ ისროლეს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ოსინფორმი" იუწყება.**

**ე.წ. თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, ცხინვალისკენ ქართული სოფლის, ნიქოზის მხრიდან ისროლეს. ოსური მხარის განცხადებით, ყუმბარები ჰაერში აფეთქდა და შედეგად არავინ დაზარალებულა.**

**ცხინვალში მომხდარს „ქართული მხარის პროვოკაციად" აფასებენ და აღნიშნავენ, რომ ამჯერად პროვოკაცია ჟენევის კონსულტაციების მომდევნო რაუნდის წინ განხორციელდა. კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მომდევნო შეხვედრა 17-18 თებერვალს გაიმართება.**

**ქართული მხარე ცხინვალის მიმართულებით ყუმბარმტყორცნიდან ცეცხლის გახსნის შესახებ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.**

**ამის შესახებ პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა განაცხადა.**

**— ეს ინფორმაცია სრული სიცრუეა. ქართული მხრიდან, მათ შორის არც სოფელ ნიქოზიდან არანაირი სროლა არ ყოფილა. მეტიც, სროლის ხმა წუხელ მთელი ღამის განმავლობაში სწორედ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ისმოდა, თუმცა, ქართული სოფლების მიმართულებით ცეცხლი არ გახსნილა, — განაცხადა ჯუღელმა.**

### რუსეთს მათი გაფრთხილებისა არ ეშინია

**აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს მოკავშირეები ასეთი აღშფოთებულები არ ყოფილან, როგორც დღეს არიან რუსეთის მიერ სამხედრო ბაზების მშენებლობის გამო, — ეს განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ გააკეთა.**

**მისი თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბაზების მშენებლობასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობა ღიად აფრთხილებს რუსეთს, რომ იგი არღვევს საერთაშორისო ნორმებს; უნდა დაიხუროს გუდაუთის ბაზა, რომელსაც, მისივე თქმით, არც ერთი წუთით არ შეუჩერებია მუშაობა.**

**ვაშაძე დარწმუნებულია, რომ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად აიძულებს რუსეთს, შეაჩეროს ბაზების მშენებლობა.**

**რაც შეეხება დასავლეთის მიერ რუსეთის იზოლირებას, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ძნელი წარმოსადგენია და გულუბრყვილო ადამიანი თუ დაიჯერებს, რომ აშშ და დასავლეთი რუსეთთან დიალოგს შეწყვეტენ და არ შეეცდებიან გააუმჯობესონ ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობა. თუმცა, მინისტრი დარწმუნებულია, რომ საქართველოს თემა იქნება მუდმივად ყურადღების ცენტრში, რადგან რუსეთი ცდილობს, დაანგრიოს საერთაშორისო ნორმებზე აგებული სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა.**

ინტერპრესნიუსი

### ◉ არის წინადადება!

***ჩამოვცდი** სათაურ-ქვესათაურს და, თითქოს ცხადად მომესმა მავანთა გაღიზიანებული შეძახილი — სანამ უნდა იმასხარაოთ, ყველაფრის გატრიზავება ხომ არ შეიძლება, როგორ იქნება მასხარის ხსენება პრეზიდენტთან დაკავშირებითო.*

*ამიტომაც ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ მათ სანერვიულო არაფერი აქვთ, რადგან ვგულისხმობ არა ცირკის „კლოუნს“, არამედ ისეთ მასხარას, რომელიც ძველად თითქმის ყველა ხელმწიფეს ჰყავდა და, რომელსაც, ლამის ერთადერთს, ჰქონდა უფლება, ყველაფერი დაუფარავად ეთქვა მბრძანებლისთვის, ღიად ემხილებინა მის საქმიანობასა თუ ქვეყნის ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანება-დარღვევები და პრობლემა-სიძნელეები.*

# ისეთ ცხოვრებას რა შეთხარი, კაცს პრეზიდენტის ავადმყოფობას რომ განატრებინებს!

## მარკშეიდერი არა, მაგრამ ერთი პროფესიონალი მასხარა კი აშკარადაა საჭირო სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში




არადა, მართლაც სჭირდება ასეთი მასხარა უამრავი ტაკიმასხარით გარშემორტყმულ პრეზიდენტს, რომელსაც მისი უახლოესი ვარდოსანი გარემოცვა, ეტყობა, სულ ვარდისფერი სათვალით აცქერინებს ამ ცხოვრებისთვის.

აკი თქვა კიდეც, როგორც ჩანს, ამაში დაეჭვებულმა პრეზიდენტმა ახლახან ტელევიზიით, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებთან შეხვედრისას, რომლებიც მას და, საერთოდ, ჩვენს ხელისუფლებას კონსულტაციებს გაუწევენ საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისის დაძლევასთან დაკავშირებით, **ესენი ჩვენი მოხელეები არ არიან, რომ ტყუილები გვითხრან და გვეპირფერონ, ყველაფერს შელამაზებულად გვეტყვიანო!**

და ამის შემდეგღა გკითხავთ, ჩემო ტყუილუბრალოდ გაღიზიანებულო მავანო იმანოებო, არ ყოფილა საჭირო თუნდაც ერთი პროფესიონალი მასხარა პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში, რომელიც მას სრულ სიმართლეს ეტყვის და, ამის წყალობით, საქვეყნო საქმეებსაც სწორი მიმართულებით წააყვანინებს?

პრეზიდენტიც ჩვეულებრივი ადამიანია, ოღონდ, რიგით მოკვდავთაგან განსხვავებით, უამრავი საფიქრალ-საზრუნავით დამძიმებული. ამიტომაც ყველაფერზე, ყოველ წვრილმანზე, რომელიც ჩვენთვის საკმაოდ მსხვილმანია, ხელი არ მიუწვდება.

მით უფრო, რომ იგი კარგა ხანია, ადრინდელივით, **კორპუსების სახურავებზე არ ასულა, არც მეტროში ჩასულა და არც ავტობუსით უმგზავრია** (ანკი, საწადელმიღწეულს რად სჭირდება ეს!ძ — **ბოლო ხანს საკუთარი თვითმფრინავით ამჯობინებს** (რომ გვპირდებოდა, ხარჯების შემცირების მიზნით ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით ვიმგზავრებო?!ძ **ქვეყნებისა და კონტინენტების მოვლას.**

მაგრამ საკმარისია, ამ მგზავრობათა შორის პერიოდში ჩვენი ყოველდღიურობის რაიმე ნაკლსა თუ ხინჯს წააწყდეს, რომ საქმე ოპერატიულად გვარდება.

ერთხელაც, როგორც ხალხისადმი ტელემიმართვაში თქვა, მას ცხვირის ოპერაცია დასჭირვებია. გარკვეულა, რომ ამისთვის საჭირო რაღაც სამედიცინო მოწყობილობა თუ დანადგარი საქართველოში არ გვქონია.

ამის გამო პრეზიდენტს ოპერაცია გერმანიაში გაუკეთებია, იქიდან დაბრუნებულს კი ის მოწყობილობა თუ დანადგარი საქართველოში სასწრაფოდ ჩამოუტანინებია!

ვეჟო, ასეთი რამ გაგონილა? პრეზიდენტი ამისთანა წვრილმანებისთვის უნდა ცდებოდეს? რას აკეთებდა ჯანმრთელობის სამინისტრო, პირადად მაშინდელი მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, რომელმაც ჯერ ბედობა დღეს ლამის ქათმის გრიპით ნახევარი საქართველოს ამოჟუჟვა გვიწინასწარმეტყველა, მერე ასი უახლესი ტიპის საავადმყოფოს აშენებას დაგვპირდა, რომლებიც თურმე ყველასთვის ერთნაირად იქნებოდა ხელმისაწვდომი ტერიტორიულადაც და ფინანსურადაც(?!ძ, უფრო მერე კი დიპლომატიურ სარბიელზეც „გვასახელა?“

**გაგონილა, კაცო? ეს რა ცხოვრებაა! მაინცდამაინც პრეზიდენტი უნდა გახდეს ავად, რომ ჩვენმა სამკურნალო დაწესებულებებმა აუცილებელი მოწყობილობა-დანადგარები მიიღონ?!**

იქით კიდევ მისი მეუღლის მშობიარობისას (ღმერთმა გაუზარდოს ანგელოზივით ვაჟი!ძ გარკვეულა, რომ არც ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ და აღჭურვილ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ჰქონიათ რაღაც აპარატურა.

როგორც კი ეს გაუგია, პრეზიდენტს ისიც ჩამოუტანინებია!

**ღმერთმა ამრავლოს და აბედნიეროს, მაგრამ რამდენჯერ უნდა იმშობიაროს ქალბატონმა სანდრამ (თანაც, სასურველია, სხვადასხვა სამშობიაროში), რომ თითოეულ მათგანს შემოუტანონ საჭირო სამედიცინო მოწყობილობები?**

კიდევ მეტყვით, რომ პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში არ არის საჭირო თუნდაც ერთი კვალიფიციური მასხარა, ამდენი ტაკიმასხარის მიერ გამრუდებული როგორმე რომ გაასწორებინოს უმაღლეს ხელისუფალს?

***თორემ** ისეც შეიძლება მოხდეს, რომ პრეზიდენტმა პირველ საქორწინო ღამეს ახალშეუღლებული ვაჟის უნიათობით თავმობეზრებული მიხოს დარად წამოიძახოს — ამ ოჯახში როგორ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია (არ ეხერხება თუ რა „იმ“ საქმის კეთება, რაც მიხოს დონდლო მემკვიდრემ ვერ შეძლო!) ერთი „პრიმა“ მაინც გამაბოლებინეთო!*

*ეჰ, ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში მართლაც არის საჭირო ერთი კვალიფიციური მასხარა!*

**რუსლან რუსია**

### ◉ კანონპროექტი

# ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების პარადოქსები

**2008 წლის 29 დეკემბერს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. მისი ინიციატორია მიხეილ სააკაშვილი, ხოლო ავტორი — საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური. თანდართულ განმარტებით ბარათში განხილულია კანონპროექტის მიღების არსი, მიზეზი და მიზანი. შემოთავაზებული ინიციატივა, თუ განმარტებითი ბარათის მიხედვით ვიმსჯელებთ, კეთილ მიზნებს ისახავს, თუმცა თვითონ კანონპროექტის შედარებითი ანალიზი სრულიად საპირისპირო სურათს წარმოაჩენს.**

მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა კონსტიტუციის 7 მუხლის 9 პუნქტს ეხება და დამატების სახით შემოდის კიდევ 3 პუნქტი. ცვლილებათა იდეა კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის (51'ძ სამ დამატებით პუნქტშია ასახული. სხვა დანარჩენი მათი ამოქმედებისათვის საჭირო რეკვიზიტებია. სწორედ ამ ნორმებში იკითხება ე. წ. „რეფორმირების“ ძირითადი არსი:

— „პრეზიდენტს საკუთარი ინიციატივით პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში“ (პუნქტი 2ძ.

— „თუ პრეზიდენტმა უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში ერთხელ უკვე დაითხოვა პარლამენტი, მეორედ პარლამენტის დათხოვნა დაიშვება მხოლოდ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე. რეფერენდუმს პარლამენტის დათხოვნის შესახებ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი“ (პუნქტი 3ძ.

შემდეგ განიხილება რეფერენდუმის მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე პროცედურები: თუ რეფერენდუმზე მონაწილეთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს პრეზიდენტის წინადადებას, პარლამენტი დათხოვნილად ჩაითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები.

პირველ რიგში, კონსტიტუციური ცვლილებების რეფორმატორული იდეა კანონპროექტის მიღების მიზეზთან და მიზანთან მიმართებაში უნდა შეფასდეს:

— თუ „პარლამენტის დათხოვნა წარმოადგენს პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის საშუალებას“(?!ძ, რატომ ვზღუდავთ პრეზიდენტს სწორედ ასეთი „საშუალებით“ გამოიყვანოს ქვეყანა პოლიტიკური კრიზისიდან?

— თუ კანონპროექტის მიზანია „პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებათა დაბალანსება, საქართველოს პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდა“, რატომ გვგონია, რომ მათი აღსრულება პარლამენტის დათხოვნით მოხერხდება?

ნიშანდობლივია, რომ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით შემოთავაზებული სამი დამატებული პუნქტი სამართლებრივ წინააღმდეგობაშია ინიციატივის მიზეზსა და მიზანთან. მთელს ამ „გაუგებრობას“ იწვევს მოცემული პუნქტების პროცედურულ რეგულაციაში ჩართული ჯერადობის კლასიფიკაცია: სიტყვები „მხოლოდ ერთხელ“ მიემართება პრეზიდენტის უფლებამოსილების განმავლობაში არჩეულ პირველ პარლამენტს, ხოლო სიტყვა „მეორედ“ — პირველი პარლამენტის დათხოვნის შემდეგ არჩეულ პარლამენტს (პარლამენტებსძ. რამდენადაც ინიციატორს პარლამენტის დათხოვნა პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის საშუალებად მიუჩნევია, გაუგებარია ასეთი ხისტი შეზღუდვის შემოღება. „მხოლოდ ერთხელ“ ნებადართულმა უფლებამ თუ არ გამოიღო სასურველი შედეგი, რატომ ხდება ახალარჩეული პარლამენტი „მხოლოდ ერთხელაც“ ხელშეუხებელი? განა გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის გაწელილი დრო, როცა რეფერენდუმს არჩევნებიც უნდა მოჰყვეს, პირიქით, უფრო არ დაამძიმებს პოლიტიკურ კრიზისს, რომლის დასაძლევადაცაა გათვალისწინებული ყოფნა-არყოფნის ეს უცნაური ციკლი?!

გარდა იმისა, რომ აღნიშნული ორი პუნქტი არასრულყოფილია სისტემატური შეთავსებადობის თვალსაზრისით, იმავე პარადოქსს ვხვდებით მესამე პუნქტთან დაკავშირებითაც. სამივე პუნქტის „შემკვრელი“ ლოგიკური საფუძველი რეფერენდუმზე პრეზიდენტის უთუო გამარჯვებაა. მაგრამ არ არის გათვალისწინებული რეფერენდუმზე პარლამენტის გამარჯვების შემთხვევაში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში ექს-პრეზიდენტის მეორე უფლებამოსილების ვადით არჩევა. შედეგად, ძველი პარლამენტი არ არის დაცული იმისაგან, რომ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა „მხოლოდ ერთხელ“ დათხოვნის უფლება მის მიმართაც არ აამოქმედოს.

ამასთან, არ არის დარეგულირებული რეფერენდუმისა და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პარლამენტის საქმიანობის რეჟიმი. არც ის არის გასაგები, თუ რატომ უნდა ამოქმედდეს ასეთი ბუნების ცვლილებები გამოქვეყნებისთანავე. მოცემული ინიციატივის თანმხლები ხარვეზების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ კანონპროექტის ავტორის, მიხეილ სააკაშვილის საპარლამენტო მდივნის, სამსახურში, მეტი რომ არა ვთქვათ, სერიოზულად მოიკოჭლებს იურიდიული ტექნიკა.

მთავარი ის არის, რომ კანონპროექტი პრინციპულად არ შეესაბამება განმარტებით ბარათში დასახულ მიზანს. კონსტიტუციის იმ მუხლში, რომელმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა, უცვლელად დარჩა მთავრობის მიერ პარლამენტში შესატან საკითხთა ნუსხა, რომლებზეც პრემიერ-მინისტრმა შეიძლება მთავრობის ნდობის საკითხიც დააყენოს (მუხლი 81-4ძ. ამ საკითხთა უმრავლესობა პრეზიდენტთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ შედის პარლამენტში და პრეზიდენტი მთავრობის პარტნიორის როლში გამოდის. ამიტომაც არსებობს მაღალი ალბათობა, მთავრობის მიერ დაყენებული ნდობის საკითხის მიუღებლობა გადაიზარდოს პარლამენტისადმი უნდობლობაში.

ზემოაღნიშნული ინიციატივა თავისი მიზანდასახულობით საქართველოს კონსტიტუციური სამართლის მოდელურად განუსაზღვრელი კურსის კიდევ ერთი გამოხატულებაა. 1995 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული სუპერსაპრეზიდენტო მოდელი 2004 წლის კონსტიტუციური რეფორმის „ნოვაციებით“ ავტორიტარიზმში გადაიზარდა.

იხ. 4 გვ.

კანონპროექტი

(მესამე გვერდიდან)

# ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების პარადოქსები

სახელმწიფო მმართველობის ქართული სისტემა ბევრი ნიშან-თვისებით ეგვიპტურ მოდელთან ამჟღავნებს მსგავსებას. სხვათა შორის, მთავრობასა და სახალხო კრებას შორის უნდობლობის საკითხის რეფერენდუმის ფორმით გადაწყვეტა მას შემდეგ, თუ პრეზიდენტის ჩარევით არ მოხერხდება ვითარების დარეგულირება, სწორედ ეგვიპტის კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. ეგვიპტური მექანიზმი მაინც უფრო დემოკრატიულია, ვიდრე „ქართული ინიციატივა“. იურიდიული თვალსაზრისით, აქ კიდევ ერთხელ დასტურდება არა მხოლოდ მთავრობისადმი პარტნიორული კავშირი, არამედ ხელისუფლების დანაწილების სისტემაში საქართველოს პრეზიდენტის ერთმმართველობითი ბუნება. სწორედ ამიტომ, მთავრობის მიმართ პარლამენტის მიერ გამოცხადებული უნდობლობა შეიძლება პრეზიდენტთან პარლამენტის დაპირისპირებით სარეფერენდუმო განხილვის საგანი გახდეს. მსგავსი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა რაციონალური გერმანული კონსტიტუციური ვოტუმის მექანიზმით, რომელიც გამორიცხავს სახელისუფლებო კრიზისსაც და დამატებითი ხარჯების საჭიროებასაც.

მიხეილ სააკაშვილის მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებებით შეუძლებელია დეკლარირებული მიზნების რეალიზაცია. სინამდვილეში კონსტიტუციური ცვლილებები კიდევ ერთხელ ხდება სააკაშვილის პიარკამპანიის ნაწილი და ეს ყველაფერი იმათზეა გათვლილი, რომლებსაც ჯერ კიდევ უნდათ დაიჯერონ, რომ მიხეილ სააკაშვილს შეუძლია რაიმეს დათმობა. ფაქტობრივად, იგი არაფერს თმობს და არც პარლამენტი ძლიერდება — ეს უკანასკნელი ისევ ისე ინარჩუნებს თავის ნომინალურ მნიშვნელობას. შესაბამისად, ეს ყველაფერი ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობის პირობებში სხვა არაფერია, თუ არა წმინდა წყლის ბლეფი. ამის დასტურია შემოთავაზებული ინიციატივის მატერიალიზაციის პრობლემა. მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ ხელისუფლების მიერ უარყოფილია გაუმართლებელი საორგანიზაციო ხარჯების არგუმენტით, შემოდის ინიციატივა, რომელიც ამგვარ ხარჯებს აორმაგებს: ჯერ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, ხოლო შემდეგ — საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები. განმარტებით ბარათში კი გარკვევით წერია, რომ თურმე „პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე“ და „კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება“. პროექტი პროექტად, მაგრამ მისი მიღების შემდეგ იგი კონსტიტუციური დანაწესის სახეს ღებულობს და ასეთი „დაჯერებულობა“ იმას ხომ არ უნდა ნიშნავდეს, რომ აღნიშნული ინიციატივა ამთავითვე განწირულია, გადაიქცეს მკვდრადშობილ ნორმად, როგორც ეს, სხვათა შორის, ეგვიპტეშია.

1995 წლიდან საქართველო თავსმოხვეული კონსტიტუციითა და მასში შეტანილი ცვლილებებით მართული სახელმწიფოა. რას ვიზამთ, საქართველოში მოქმედი „მოქნილი“ კონსტიტუცია ყველაფერს იტანს და იგი 2004 წლიდან ფაქტობრივად ერთპარტიული ხელისუფლების ინტერესებზე მოსარგებად „ჭრა-კერვის“ საგნადაა ქცეული. საქართველოს კონსტიტუციაში 10 წლის განმავლობაში უკვე მეთვრამეტე შესწორება შედის (აშშ-ში — 27 შესწორება 220 წლის განმავლობაში), აქედან, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში — მეცამეტე, ხოლო თავში „საქართველოს პრეზიდენტი“, მეშვიდე შესწორების ჩათვლით, 25 ცვლილება-დამატებაა განხორციელებული.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ტრაგიკომიკურად მოხშირებული კონსტიტუციური ცვლილებები კონსტიტუციურად დადგენილ პროცედურათა რეგლამენტის დარღვევით ხორციელდება. 2004 წელს მიღებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით კონსტიტუციურ ცვლილება-დამატებათა პროცესის წარმართვისათვის ყოველ ჯერზე სპეციალური საორგანიზაციო კომისია იქმნება. მას შემდეგ კონსტიტუციური კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ კონსტიტუციურად დადგენილი სავალდებულო მოთხოვნა ცინიკურადაა იგნორირებული და ე. წ. „საორგანიზაციო კომისიის“ დონეზე იბლოკება. ამით უარყოფილია სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულობის განმაპირობებელი უმთავრესი იდეა — „ხელისუფლების წყაროა ხალხი!“

მიხეილ სააკაშვილმა ზემოაღნიშნული ინიციატივის საჯარო პრეზენტაციაზე მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის დაწყების შესახებაც განაცხადა. ხოლო საქართველოს პარლამენტმა 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“. კომისია შეიქმნა 24 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან 17 პარლამენტარია (ამათგან 11 — საპარლამენტო თანამდებობის პირი), 4 თანამდებობრივად წარმოდგენილი პირი და 3 მოწვეული იურისტი (მათ შორის, ერთი კონსტიტუციონალისტი). ასე რომ, საზოგადოებრივი აზრის ჩართულობა ამ დონეზეც გამორიცხულია. ამასთან, კონსტიტუციური კანონპროექტის ხელმიუწვდომლობის გამო, საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის უფლება კვლავ შეზღუდულია. კომისიამ ტექსტების გამოქვეყნება „საკანონმდებლო მაცნეში“ 4 თებერვლამდე ვერ უზრუნველყო. აი, ასე აგვარებს კონსტიტუციურ ცვლილებათა პროცედურული ორგანიზაციის მიზნით შექმნილი კომისია თავის მოვალეობას.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ერთ საოცარ ჩანაწერსაც ვხვდებით: „კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს კონსტიტუციისა და მისი ცვლილებების დებულებათა კომენტირებისას“.

კარგია, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაგვახსენდა 2004 წლის 6 თებერვალს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის პროექტის შესახებ ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის საექსპერტო დასკვნა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის თხოვნით შეიქმნა. მაგრამ ხელისუფლება არათუ არ დაელოდა ამ სერიოზული შენიშვნებით სავსე დასკვნას, არამედ, პირიქით, დააჩქარა მანკიერი კანონპროექტის მიღება, რომელმაც განაპირობა სახელმწიფო მმართველობის მოდელის შეცვლა. თავის მხრივ, კლასიკური ნიმუშისაგან კონცეპტუალურად შეუთავსებელი იდეებით გაჯერებულმა საქართველოს მოქმედმა კონსტიტუციამ ხელისუფლების დანაწილების პრინციპების დეფორმაცია განაპირობა.

ევროსაბჭოს საექსპერტო დასკვნა 30 მნიშვნელოვან შენიშვნას შეიცავდა. ვენეციის კომისია ხელისუფლებას ურჩევდა, გაეგრძელებინა კონსულტაციები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით. ასეთი წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლებაში მოსული ნაციონალ-დემოკრატებისათვის. ამის გამო მოქმედ კონსტიტუციაში არ იქნა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის მიერ ჩამოყალიბებული 23 შენიშვნა, მათგან 14 შენიშვნა ვენეციის კომისიას პრინციპულად მიუღებლად მიაჩნდა. ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეიფორიაში მყოფ სახელმწიფოში, რომელსაც სათავეში ორი იურისტი ედგა (მ. სააკაშვილი და ნ. ბურჯანაძე), განხორციელდა კონსტიტუციური რეფორმა და სწორედ ამ რეფორმამ განაპირობა მაჟორიტარული დიქტატურის სისტემის დაფუძნება. ყოველივე ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოში ავტორიტარიზმის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

ნაციონალ-დემოკრატების მიერ შემოთავაზებულმა მმართველობის მოდელმა ხუთწლიან გამოცდასაც კი ვერ გაუძლო. ხუთი წლის თავზე ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის შენიშვნების გახსენებით ხელისუფლება, თითქოს, საკუთარი შეცდომების გამოსწორების კურსს დაადგა, მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში დაგროვილ ცოდვებს აღარაფერი ეშველება. ვენეციის კომისიის ყველა შენიშვნის გამოსწორებაც რომ ვცადოთ, ამგვარი არაოფიციალური „თერაპია“ ჩვენს მდგომარეობას ველარ გამოასწორებს, მით უფრო, სააკაშვილი უკანასკნელი საკონსტიტუციო ინიციატივის მეშვეობით, რომელიც არსებითად კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც უმძიმეს ვითარებას.

იმისათვის, რომ საქართველოში მაჟორიტარული ტირანიის კონსტიტუციური ფესვები ამოიძირკვოს, საჭიროა ქირურგიული ჩარევა, მაგრამ კონსტიტუციურ ცვლილებათა სუბიექტები, — საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტის უმრავლესობა, — პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, არავითარ საამისო მოტივაციას არ ცნობენ.

„ქართული აკადემია“

ინფორმაცია

## პირველი პრეცედენტი სახელმწიფოთაშორის კონფლიქტის შესახებ

საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (სტრასბურგი) წარადგინა სახელმწიფოთაშორისი განაცხადი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აგვისტოში, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებთან დაკავშირებით.

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, განაცხადი შეეხება რუსეთის ფედერაციის მიერ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების დარღვევას როგორც საჰაერო დაბომბვის, ისე რუსული ქვეითი ძალებისა და სეპარატისტების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, რომლებიც რუსეთის კონტროლს ექვემდებარებოდნენ; კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას როგორც რუსი სამხედროების, ისე ოსი სეპარატისტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან მიმართებით; მე-5 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევას მშვიდობიანი მოსახლეობის ტყვედ აყვანასთან დაკავშირებით; მე-8 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას მშვიდობიანი მოსახლეობის იძულების გამო, მიეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი; მე-13 მუხლით გარანტირებულ უფლებას სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობაზე, აგრეთვე, კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ საკუთრების უფლების მასობრივ დარღვევას რუსეთის მხრიდან; დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ განათლების უფლების დარღვევას. კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით დაცულ მიმოსვლის თავისუფლების დარღვევას.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული განაცხადი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გასული წლის 11 აგვისტოს ინიცირებული პროცესის თანმიმდევრულ გაგრძელებას.

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 11 აგვისტოს მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დროებითი ზომების გამოყენების მოთხოვნით.

შედეგად, 2008 წლის 12 აგვისტოს სასამართლომ რუსეთის ფედერაციას ვალდებულება დააკისრა დაეცვა კონვენციით გარანტირებული უფლებები და მიუთითა თავი შეეკავებინა ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

რამდენადაც 12 აგვისტოს შემდეგ, რუსეთის ფედერაციის მხრიდან არ განხორციელებულა არსებითი ზომები ადამიანის უფლებათა დასაცავად, ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე გააგრძელა მასზე დაკისრებული დროებითი ღონისძიების მოქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებაზე მითითებით.

მნიშვნელოვანია, რომ ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც სახელმწიფოთაშორის კონფლიქტში სტრასბურგის სასამართლო ამ ფორმით ჩაერთო.

## სეპარატისტთა რეგიონებს არ აღიარებენ, მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენც არ გვწყალობენ

ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ისაუბრა მიუნხენში გამართულ კონფერენციაზე, კონფერენციის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისიის შედეგებზე.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოში იხსნება ლე აზონ-ოფისი, რომელსა, მინისტრის განცხადებით, ფიგურალურად შეიძლება დაერქვას ნატოს ოფისი საქართველოში. ეს იქნება ოფისი, რომელიც ალიანსსა და საქართველოს ურთიერთობებზე იმუშავებს.

ამასთანავე გადაწყვეტილია, რომ ყოველწლიურად საქართველოში შემუშავდება ეროვნული სამოქმედო პროექტი, რომელიც ნატოსთან განხილვის შედეგად დამტკიცდება.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე 23 ქვეყნის დელეგაცია გამოვიდა და მათ ცალსახად განაცხადეს, რომ მიუხედავად აგვისტოს ომისა საქართველოში, პროგრესი ნატოსთან დაახლოების გზაზე არის შთამბეჭდავი და დიდი. ამასთანავე, ალიანსის წევრი ქვეყნები სეპარატისტული რეგიონების ე.წ. აღიარებას არ დაეთანხმებიან.

## ტალიავინთან ღიად და გახსნილად ვიმუშავებთო

საგარეო საქმეთა სამინისტროში გრიგოლ ვაშაძე საქართველოს კონფლიქტზე ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელ ჰაიდი ტალიავინს შეხვდა.

როგორც მინისტრმა შეხვედრის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, კომისია დაინტერესებულია, შეისწავლოს აგვისტოს აგრესიის წინ განვითარებული მოვლენები, კერძოდ როდის დაიწყო დაბომბვა, ასევე, ეთნიკური წმენდის საკითხები.

ვაშაძის თქმით, ქართული მხარე დაინტერესებულია, რომ ამ მასალებს დაერთოს, როგორც ვიდეო, ასევე ფოტომასალები, რომლებიც ქართულ მხარეს აქვს.

მისივე განცხადებით, საქართველო მზად არის, ღიად და გახსნილად იმუშაოს ამ კომისიასთან.

ინტერპრესნიუსი

**აქტუალური ინტერვიუ**

***სამი ათეული წლის წინათ, 10 თებერვალს, ირანის ისლამურმა რევოლუციამ შაჰის ბატონობას ბოლო მოუღო და საბოლოოდ დაასამარა. მას შემდეგ ქვეყანამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ეკონომიკურ, სოციალურ, განათლების თუ ტექნიკის სფეროებში. პოლიტიკურ ასპარეზზე კი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.***

***რევოლუციის იუბილესთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში მოჯთაბა დამირჩი ლუს ეწვია და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა.***



## მოჯთაბა დამირჩილუ:

# საქართველო-ირანის ურთიერთობაში სხვა ქვეყნის ჩარევა უარყოფითად მოქმედებს

## ირანის ისლამური რევოლუციის 30 წლისთავი

**— ბატონო ელჩო, თქვენ ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის, დიდი ირანის ღირსეული ელჩი ბრძანდებით საქართველოში. რამდენიმე თვეში უფლებამოსილების ვადა გეწურებათ. გულწრფელად გვითხარით, განსაკუთრებით რა დაგამახსოვრდათ განვლილი წლების განმავლობაში და... რა არ მოგწონთ დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში?**

— გმადლობთ შეფასებისთვის. კარგი დიპლომატი ის არის, ვინც თავის სამშობლოსთან ერთად შეიყვარებს იმ ქვეყანას, სადაც მას მოუწევს მუშაობა. მე დიდ ყურადღებას ვაქცევ იმას, რაც ჩემთვის სასიამოვნო და მისაღებია მართლაც მშვენიერ საქართველოში. პროფესიული თვალსაზრისით თუ მივუდგებით, **საქართველოში არ მომწონს ის, რომ ხშირად მთავრობის ქაოსური ცვლილებები ხდება და არ არის სტაბილურობა ქვეყანაში.**

საქართველოდან შორს რომ ვიქნები, თქვენს ქვეყანაზე უთუოდ სასიამოვნო და კარგი მოგონებები გამყვება.

**— საქართველო-ირანს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობაა, მაგრამ ხომ არ ყოფილა ისეთი ვითარება, როდესაც გარე ფაქტორებმა, თუნდაც ჩვენმა ამერიკასთან მეგობრობამ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ ურთიერთობაზე...**

— საქართველო-ირანს შორის ურთიერთობა, ჩემი აზრით, ისე უნდა განვითარდეს, რომ გარეშე ძალებმა ვერ შეძლონ მისი გაწყვეტა-გაფერმკრთალება. აშკარად იყო კონკრეტული შემთხვევები, როდესაც მესამე ძალის ჩარევით შეფერხდა ჩვენი კავშირი სხვადასხვა სფეროში. მახსოვს, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ენერგეტიკულ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ... გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ოფიციალური პირი და თქვა, რომ ამერიკა საქართველო-ირანს შორის გრძელვადიან მოლაპარაკებებს ეწინააღმდეგებაო! ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამოდიოდა, რადგან მოსახლეობის ცივ ზამთარში გაყინვა არ სურდა, თუმცა ისიც ცხადია, რომ სხვა ქვეყნის ჩარევამ უარყოფითი გავლენა მოახდინა.

**— რას იტყვით ფერეიდნელ ქართველებზე. იქ თუ ხართ ნამყოფი, ბატონო ელჩო, და ისინი, რომლებიც დღეს ირანის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორ პირობებში ცხოვრობენ?**

— იქ ნამყოფი ვარ, შევხვედრივარ ფერეიდნელ ქართველებს. საერთოდ, ირანში სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა ისინი, ყველანი ირანელები არიან. ქართველები, აზერბაიჯანელები, არაბები, სომხები საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობენ და დღესაც ისინი ერთად ქმნიან ერთიან ირანულ კულტურას, ეკონომიკას, პოლიტიკას. მაგალითად, ისლამური რევოლუციის ლიდერი აიათოლა ხომეინი ეთნიკური აზერბაიჯანელია.

**— ფერეიდნელი ქართველებიდან გამორჩეული პიროვნებები თუ გყავთ?**

— დიახ, ქართველები კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და მედიცინის სფეროში ძალიან გამორჩეულები და სახელოვნები არიან.

**— ბატონო მოჯთაბა, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ირანთან დიალოგი სურს. ირანის პრეზიდენტი კი ითხოვს, ჯერ ბოდიში მოიხადოს და შემდეგ დაველაპარაკებითო. თქვენ რას ფიქრობთ, როგორ განვითარდება ირანისა და ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ურთიერთობა?**

— შაჰის რეჟიმი ამერიკის მორჩილი იყო, თუმცა რევოლუციის შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. შესაბამისად შეიცვალა ამერიკისადმი დამოკიდებულებაც.

ამერიკის წინააღმდეგობა ირანისადმი სხვადასხვა ფორმით გამოიხატა. პირველ რიგში, დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ირანთან და აშკარად დაუპირისპირდა მის ხელისუფლებას. ჯერ სამხედრო გადატრიალების მოწყობა დაგეგმა, შემდეგ — სახელმწიფო გადატრიალება. ორივე ცდა წარუმატებელი გამოდგა. ამას მოჰყვა 8-წლიანი ირან-ერაყის ომი, ისევ ამერიკის წაქეზებით! ამ ომის არასასურველი შედეგით დასრულების შემდეგ ამერიკამ ეკონომიკურ სანქციებს მიმართა...

თუმცა ირანს უმნიშვნელოვანესი წარმატებები აქვს. ამის მაგალითია თუნდაც ბირთვული პროგრამა. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო აღიარებს, რომ ირანის ბირთვულ პროგრამებში რაიმე გადახრა არ შეინიშნება, ამერიკა მაინც უკმაყოფილოა. მას სურს, ხელი შეუშალოს ირანის წარმატებას, ირანის გადაქცევას პროგრესულ ტექნოლოგიურ ქვეყნად.

რამდენიმე დღის წინათ, ირანმა თავისი თანამგზავრი „ომიდი“ (იმედი) ორბიტაზე გაუშვა, რაც ამერიკისთვის არასასიამოვნო ფაქტი გამოდგა. ამერიკა დღემდე იმის ცდაშია, რომ დაამხოს ჩვენი სახალხო ხელისუფლება, რომელიც არ ეპუება მის ბრძანებებს. ამერიკის პოლიტიკა აქამდე მტრული იყო, მაგრამ თუ ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა დიალოგის მომხრეა, ჩვენ ამას მივესალმებით. ირანი ელოდება ამერიკის მოქმედებებს და ამის შემდეგ საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს.

***30 წლის განმავლობაში ირანის ისლამური რესპუბლიკის მოსახლეობა გაორმაგდა და 70 მილიონს გადააჭარბა***

●

***საკუთარი მოსახლეობის უზრუნველსაყოფად ირანი აწარმოებს საკვები პროდუქტების 95 პროცენტს***

**— რა როლი ენიჭება რუსეთს ირან-ამერიკის ურთიერთობაში. მას ხელს აძლევს ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის დათბობა თუ პირიქით?**

— ირანის საგარეო პოლიტიკის თავისებურება ის არის, რომ მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს ეფუძნება და სხვა ფაქტორები გავლენას ვერ ახდენს, თუმცა თვითონ რეგიონში და მსოფლიოში დიდ როლს თამაშობს. ამიტომ ძირეული, გლობალური პრობლემების მოგვარება ირანის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, წამყვანი ქვეყნები ილტვიან, რომ ირანი აუცილებლად ჩაერთოს გლობალური კრიზისის დაძლევაში. ირან-ამერიკას შორის ურთიერთობის მოგვარება, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დადებითად იმოქმედებს დანარჩენ მსოფლიოზე.

**— როგორ აღიქვა ირანმა შარშან, აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესია და ჩვენი ტერიტორიების ანექსია. რახან რუსეთი დიდი და ანგარიშგასაწევი ქვეყანაა, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ირანმაც აღიაროს?**

— აგვისტოს ომის დროს ირანმა ოპერატიულად გააკეთა განცხადება ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრს ამ ფაქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ჰქონდა რეგიონის ქვეყნების ოფიციალურ პირებთან, რადგან ირანი დაინტერესებულია რეგიონში მყარი მშვიდობით და სტაბილურობით. საერთოდ, ირანი ყოველთვის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ასე იქნება მომავალშიც.

**— ექსპერტები მიუთითებენ, რომ ირანი ბოლო 30 წლის განმავლობაში ძალიან სწრაფად განვითარდა. ვარაუდობენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, 15-20 წლის შემდეგ საკუთარი მოსახლეობის უზრუნველსაყოფად მოიხმარს ნავთობის იმ მარაგს, რაც აქამდე ექსპორტში მიდიოდა. როგორია დღეს ირანში ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები და პრობლემები?**

— ენერგოუსაფრთხოების სფეროში ირანს დიდი მარაგები გააჩნია, ამიტომ იმის თქმა, რომ ექსპორტს თუნდაც 20 წლის შემდეგ შეაჩერებს, ცოტა ნაადრევია, თუმცა სხვა ალტერნატიული გზების გამონახვაზეც ფიქრობს. ჩვენ ხელი მიგვიწვდება მზის ენერგეტიკაზე, ქარის ენერგეტიკაზე, ბირთვულ ენერგეტიკაზეც. ჯერჯერობით კი ირანი ნავთობისა და გაზის დიდი ექსპორტიორია, რადგან ნავთობგაზის მარაგით მეორე ადგილზე ვართ მსოფლიოში.

**— ალბათ, თქვენთანაც არსებობს ოპოზიცია. ისინი რა საკითხში უწევენ ახალ რეჟიმს ოპონირებას?**

— ირანში ისეთი გამორჩეული ოპოზიცია არ არის, რომელსაც შაჰისდროინდელი ირანის ნოსტალგია ჰქონდეს. ამიტომ გამოხატულად კრიტიკული მუხტი არც იგრძნობა.

ირანის ისლამური რევოლუცია იმდენად ვიწრო ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი არ იყო, რამდენადაც ის ეფუძნებოდა საერთო ფასეულობებს და კულტურას. ამ რევოლუციის მონაპოვარია ის, რომ ხალხს საკუთარი ძალების რწმენა მიეცა. თუ რევოლუციამდე ეგონათ, რომ ქვეყანა რომელიმე დიდი სახელმწიფოს სატელიტი უნდა ყოფილიყო, რევოლუციამ ეს შეხედულება მოსპო.

როცა ხალხმა საკუთარი ძალები ირწმუნა, ამას მთელი რიგი წარმატებები მოჰყვა. მაგალითად, სერიოზული წინსვლა გვაქვს მედიცინაში: ირანელმა მეცნიერებმა კიბოს და შიდსის საწინააღმდეგო ისეთი პრეპარატი შექმნეს, რომლებსაც ევროპაშიც წარმატებით იყენებენ. ქვეყნის მრავალ კლინიკაში ტარდება ურთულესი ქირურგიული ოპერაციები გულზე, სხვა ორგანოებზე. უახლოეს დღეებში ირანში მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, პროფესორ სამიის უნიკალური კლინიკა გაიხსნება.

თვალშისაცემია ეკონომიკური წინსვლა, რომელიც მარტო ენერგეტიკაზე არ არის დამოკიდებული. 95 პროცენტი კვების პროდუქტებისა ადგილზე იწარმოება, ხოლო ყოველწლიურად 20 მილიარდი დოლარის პროდუქცია გადის ირანიდან, მათ შორის თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი.

სოციალურ სფეროში თვალსაჩინო წინსვლაა. ირანში თითქმის ყველა მცხოვრები (მოსახლეობის რიცხვმა 70 მილიონს გადააჭარბა) სოციალურად დაცულია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 65-70 წელია. ღარიბებს უნიშნავენ შემწეობებს, უკეთებენ დაზღვევას. საშუალო განათლება უფასოა. თუ უმაღლეს სასწავლებელში რევოლუციამდე ქალების რიცხვი 37 პროცენტი იყო, დღეს 80-ს აჭარბებს და აბიტურიენტთა ძირითად ნაწილს ქალები შეადგენენ.

**— საინტერესოა, რა ჯდება ირანში სამომხმარებლო კალათა და საშუალო ხელფასი რამდენია?**

— საშუალო პენსია 500 დოლარის ეკვივალენტია. ხელფასებიც საკმაოდ მაღალია. მასწავლებლის ანაზღაურება მინიმუმ 1000 დოლარია, ხოლო ვინც ნავთობკომპანიებში მუშაობენ, 5-6 ათასი დოლარი აქვთ. ეს სრულიად საკმარისია არსებობისთვის. მაგალითად, საუკეთესო 1 კგ ხორცი ირანში 8-10 ლარი ღირს. ასე რომ, მდიდრებთან ერთად ღარიბებიც საკმარისად დაცულები არიან...

**— დიდი მადლობა, ბატონო მოჯთაბა, საინტერესო საუბრისთვის... კიდევ ერთხელ გილოცავთ ირანის დიდი ისლამური რევოლუციის 30 წლისთავს.**

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და საერთოდ, ქართველ ხალხს მშვიდობასა და სტაბილურობას ვუსურვებ.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**



აფსუს!

# ბენდუქიძე გაიტანეს

## მთავრობამ ის ტოტი მოჭრა, რომელზეც თვითონ იჯდა

**ნათქვამია, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო. არადა ტაშტი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბენდუქიძე, თითქოს ჯერ გაბზარულიც არ იყო, — ახალგამომცხვარმა პრემიერმა უბრალოდ პირი დაალამუნა, კანცელარიის უფროსი რაღაც არ მეპიტნავებაო, — რომ ქვეყანას ელვის სისწრაფით გადაურბინა სენსაციამ — კახა ბენდუქიძეს „ტახტიდან“ ჩამოგდებას უპირებენო. ხალხმა ამოგმინვაც ვერ მოასწრო, რომ სენსაცია უკვე რეალობად იქცა, მეორე დილასვე საქართველოს „ეკონომიკის მამა“, რომელიც საკუთარი სიმძიმისა გამო, თავის დროზე ძლივს აფოფხდა სახელისუფლებო სკამზე, უკვე გადმოგდებული იყო.**

ამასთან დაკავშირებით, ქვეყანაში არაერთგვაროვანმა აზრმა „გაიჟღერა“. კახას გაიმასქნებით ზოგმა გული მოიფხანა, ზოგმა — ენა, ზოგმა შეიბრალა კიდეც — რა ეჩქარებოდათ ამ მამაცხონებულებს, მოკლე ხანში მაინც წასასვლელები არიან და რადგან ერთი გუნდის წევრობას ჩემულობენ, ბარემ ერთად აეკრათ გუდა-ნაბადი, მაგათთვისაც უპრიანი იქნებოდა და ქვეყნისთვისაცო. ჰო და ჰო, ესეც ნატოში შესვლა ხომ არ იყო, ან რუსეთთან ომი, რომ სიჩქარით თავგზა აზნეოდათ? სადაც აქამდე, ცოტაც მოეცადათ და წეროებივით გუნდურად „გადაფრენილიყვნენ“. არა, მაინცდამაინც ის ტოტი მოჭრეს, რომელზეც წლების მანძილზე რბილად და მყარად, თანაც ამაყად ისხდნენ. მე თქვენ მეტყვით, ბატონი კახა სიგამხდრისა თუ სისუსტის გამო წელში გაიდრიკებოდა (!?).

თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, ბენდუქიძის კოზირი, რამაც ქვეყანა გაანიორწყლა, ჯანში კი არა, გონში იყო. რა დასამალია, სწორედ მისმა ჭარბმა ინტელექტმა და ელვარე ნიჭიერებამ, დიდ საბიზნესო გამოცდილებასთან ერთად, რომელიც რუსეთში დააგროვა, მისცა ბიძგი სიღარიბით გაძვალტყავებულ საქართველოს ბოლო წლებში წარუმატებლობა ერთბაშად დაეძლია და მსოფლიოს ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოთა შორის აღმოჩენილიყო. უდიდესი იყო ბენდუქიძის წვლილი აგვისტოს მოგებულ ომშიც, რომლითაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარი რეიტინგი ასერიგად დაიმშვენა. მართალია ბენდუქიძის ზორბა ფიგურა ომის წინა ხაზზე არ გამოჩენილა, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანას ისეთი მტკიცე ეკონომიკური ზურგი შეუქმნა, ამჟამინდელი მსოფლიო კრიზისიც კი ველარაფერს აკლებს. ბატონი კახა შეიძლება დღეს ბევრს არ ეგულისვარდება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — იმ ომმა რუსეთის ეკონომიკა ერთიანად მოფურტკნა და დაადამბლავა, ჩვენსას კი კენჭიც ვერ ააგდებინა (!?).

მაინც ედავებიან, უმადურ ადამიანებს რა გამოლევს ამ დუნიაზე. ჰოდა ისინი, უმადური და ანგარებიანი ოპონენტები მაშინაც ნერვებს უწეწავდნენ, როცა სახელმწიფო მინისტრის სკამიდან ბენდუქიძე ეკონომიკის მართვის მათრახს ლატაკი ხალხის ზურგზე შეუბრალებლად ატყლაშუნებდა და ახლაც, როცა ეს მათრახი ხელიდან გააგდებინეს. ზოგი იქამდეც მივიდა, რომ ქართული ეკონომიკის ან უკვე „ყოფილ მამას“ ვირის აბანოში ერთიანად დამრგვალებული თათქარიძისეული თავფეხის გახეხვითაც ემუქრებიან.



მაინც რას ედავებიან? შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ ეს მამაცხონებულები ბენდუქიძეს სწორედ იმაში სდებენ ბრალს, რითაც ჩვენი პატივცემული ხელისუფლების მაღალჩინოსნიკები უკვე წლებია, მთელ მსოფლიოში ტრაბახობენ. ეს გახლავთ ბენდუქიძის თამადობით ქვეყნად წარმატებით განხორციელებული რეფორმები ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, სამედიცინო სისტემაში, რიგ სხვა დარგებში, აგრეთვე, სახელმწიფო ქონების კარგად ორგანიზებული პრივატიზაცია, მილიონებით დახუნძლული ინვესტიციების მოზიდვა, ენერგეტიკული და სხვა სტრატეგიული ობიექტების სარფიან ფასებში გაყიდვა და რა აღარ, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტისა და ამ რეფორმების ავტორთა შემოსავლები ზღაპრულად გაზარდა, ხალხს კი უკანასკნელი გროშებიც დააკარგვინა.

უფრო მეტს გეტყვით, ეს უსირცხვილოები (იგულისხმებიან ოპოზიციური პარტიების ლიდერები და კრიტიკულად განწყობილი ეკონომიკური ექსპერტები) ხშირად არღვევდნენ კამათის ეთიკურ ნორმებს, არაფრად აგდებდნენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის პატივმოყვარეობას და ბენდუქიძეს პირდაპირ პირში ახლიდნენ: ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ, პირადად შენ გარყვენი და დააქციე ქართული ეკონომიკაო, არაფერი აღარ დაუტოვე ქვეყანას, ყველაფერი — მიწა, წყალი, მთა, ბარი, მდინარეები, ჰესები თუ თესები ფულად აქციე და ჯიბეში ჩაიტენე, სიტყვით ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას ეწეოდი, ფაქტობრივად კი ბიზნესის ერთპიროვნული მმართველი და დირექტორი იყავიო...

უთხარი რა, ემანდ სირცხვილით ფუმფულა ლოყები არ აეწვას. ბენდუქიძეს ერთ-ერთი გამორჩეული ღირსება ისიც გახლავთ, რომ სინდისი არასოდეს აწუხებდა (რაც არა ჰქონდა, რა შეაწუხებდა!), მტყუანიც რომ ყოფილიყო, პრინციპს არ ღალატობდა, უკან არასდროს იხევდა, პირიქით, ჭკუას იქით არიგებდა სხვებს, მათ შორის მთავრობის წევრებსა და დეპუტატებსაც, რასაც ისინი მორჩილად იღებდნენ და, როგორც ახლა აცხადებენ, კვლავაც დიდი სიამოვნებით მიიღებენ მის ბრძნულ რჩევებს, თუ კი ის ამ მოწყალებას არ დაიშურებს და ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც დაუყვედრებლად გაიღებს. აი, ბატონი სააკაშვილი იკადრებს თუ არა სამომავლოდ ბენდუქიძის რჩევებს, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის დღემდე ეკონომიკასა და ბიზნესის სფეროში გადაწყვეტილებებს თურმე ყოველთვის ბატონ კახასთან მოთათბირების შემდეგ იღებდა.

თავად ბენდუქიძეს, როგორც ტელევიზიით განაცხადა, ყველაზე დიდ საკუთარ მიღწევად მიაჩნია, რომ მთავრობიდან წასვლით ოპოზიციის გული გაახარა და ალბათ ისიც (ეს უკვე აღარ უთქვამს), რომ აბეზარა ჟურნალისტები, როგორც იქნა, თავიდან მოიცილა. მაგრამ ვინ დარჩა ამით წაგებული? ალბათ უფრო ჟურნალისტიკა, რომელმაც ტელეეკრანსა და გაზეთების ფურცლებზე ბენდუქიძის განუმეორებელ ფიგურასთან ერთად, მისი უჭკნობი აზრებით სავსე მუდმივად სკანდალური თემატიკაც დაკარგა. ისე, თუ სადმე სამართალია, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბენდუქიძე ამ საქმეში ხარივით გამწევი და მასავით უტყვი იყო — ერთთავად კრიტიკის უღელში შებმული ხანდახან თუ ამოიხვნეშებდა და ზედ რუსულ გინებასაც დააყოლებდა, ეგ იყო და ეგ, მეტი არაფერი!

რაც შეეხება საკუთარ ნაკლს, ამაზე ბენდუქიძეს ჯერჯერობით არაფერი უთქვამს (ინგა გრიგოლიასთან ხელჩართული „ომის“ დროსაც), მაგრამ მისგან ნაკეთებ საქვეყნო და საშვილიშვილო საქმეებს თუ გადავხედავთ, მის ყველაზე დიდ ნაკლად ალბათ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ რკინიგზის გაყიდვა გააჭიანურა და ქართულ სტრატეგიულ ობიექტებზე რუსული ექსპანსია დაუმთავრებელი დატოვა. თუმცა, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ბენდუქიძემ რკინიგზა სხვებისგან მოფარებულად თავისთვის შემოინახა. მიზეზი გასაგებია, ავტომანქანა ვერ ზიდავს და თვითმფრინავი, მით უფრო იმ ნადავლით, რომელიც მან საქართველოში დააგროვა. ჰოდა, მეტი რაღა დარჩენია, შეიძენს პირად საკუთრებაში ქართულ რკინიგზას, ჩაჯდება თავისი მილიონებით და მშობლიურ რუსეთს მიადგება.

ჩვენც ხელის დაქნევის მეტი რაღა დაგვრჩენია. მშვიდობით, ბატონო კახავ! აფსუს, რა მაშვრალი პერსონა დავკარგეთ?!..

**ოთარ ხუციშვილი**

წარდგენა

# დაარსდა „კავკასიის ფონდი“

**სასტუმრო „თბილისი-მერიოტში“ შედგა ახლადდაარსებული „კავკასიის ფონდის“ წარდგენა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტისა და მთავრობის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში მცხოვრები კავკასიური დიასპორებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.**

მთავარეპისკოპოს მეუფე ანანიას, აკადემიკოსების: მარიამ ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველის, ოთარ ჯაფარიძის, ლადო პაპავას, ვახტანგ შამილაძის, პროფ. მერაბ ჩუხუას, „ქართული ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორის ზურაბ აბაშიძის, პარლამენტის წევრის პაპუნა დავითაიას, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის იულონ გაგოშიძის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გია ხუბუას, გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ მთავარი რედაქტორის მალხაზ გულაშვილის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის დირექტორის ბესარიონ მაისურაძის, სპორტული კომენტატორის ჯამლეტ ხუხაშვილის, მწერალ მექა ხანგოშვილის გამოსვლებში აღინიშნა ქართული სახელმწიფოს მისია საერთოკავკასიური გეოპოლიტიკურ-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში; ხაზი გაესვა იმ როლს, რომელიც „ფონდმა“ უნდა შეასრულოს მონათესავე კავკასიელ ერებს შორის კავშირების აღსადგენად...



„კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტმა გივი ლამბაშიძემ საზოგადოებისთვის გააცხადა ფონდის საქმიანობის მიზნები და ამოცანები, დაისახა კონკრეტული ქმედებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთკავშირის განმტკიცებას; აღინიშნა, რომ ფონდი დააფინანსებს და კოორდინაციას გაუწევს პროექტებს კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სპორტის სფეროებში.

**საკუთარი ინფორმაცია.**

ინფორმაცია

## გაზს ვაწვდით, ისინი ვერ ღებულობენ

**გაზგამანაწილებელი** კომპანია „იტერა საქართველო“ ცხინვალის რეგიონს ბუნებრივ გაზს ნორმალური, დაახლოებით 5,5 ატმოსფეროს წნევით აწვდის. ამის შესახებ „იტერა საქართველოში“ განაცხადეს.

თუმცა, კომპანიის ინფორმაციით, გაზის წნევასთან დაკავშირებით ცხინვალის რეგიონში პრობლემები გუშინ შეიქმნა. მიზეზების შესასწავლად ორივე მხარე აგრძელებს მუშაობას.

როგორც „იტერა საქართველოში“ განმარტავენ, კომპანია გაზს საკმარისი წნევით უშვებს, თუმცა, შესაძლოა, გზაზე მილის გარკვეულ მონაკვეთში მტვერი ან ნაგავი იყოს დაგროვილი, რომელიც წნევის მიწოდებას აფერხებს.

სააგენტო „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, ცხინვალამდე ბუნებრივი გაზი მხოლოდ ერთი ატმოსფეროს წნევით აღწევს და დაბალი წნევის გამო, შესაძლოა, რეგიონი გაზის გარეშე დარჩეს.

## სად იხარჯება დევნილთათვის გამოყოფილი თანხა?

**დევნილებისთვის** გამოყოფილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობა იქნება ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და კონტროლის პალატის ხელმძღვანელის ლევან ბეჟაშვილის გუშინდელი შეხვედრის თემა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ცხინვალის რეგიონიდან დევნილებისთვის დახარჯული საბიუჯეტო სახსრების განკარგვის მართლზომიერების შესწავლას ითხოვენ და ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც გამართეს. ფრაქცია კონტროლის პალატის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უფლების გამოყენებას საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე აპირებს. აღნიშნული პუნქტით, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს, სასესიო პერიოდში ერთხელ მოითხოვოს კონტროლის პალატისგან მათთვის მნიშვნელოვან საკითხზე რიგგარეშე, არაგეგმიური აუდიტის ჩატარება.

ფრაქციამ კონტროლის პალატას მიმართა, ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისთვის დასახლებისა და ნორმალური ყოფითი პირობების შექმნისთვის დახარჯული საბიუჯეტო სახსრების განკარგვის მართლზომიერების დასადგენად რიგგარეშე, არაგეგმიური აუდიტი ჩატარდეს.

„ქრისტიან-დემოკრატების“ მოთხოვნას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იმავე დღეს დადებითად გამოეხმაურა.

ინტერპრესნიუსი

თარიღი

# რწმენა და მეცნიერული კეთილსინდისიერება მისი სიცოცხლის მძლავრი სტიმულია

## გიორგი ტყეშელიაძე – 80

**როდესაც გსურს, საგაზეთო სტატია მიუძღვნა ისეთ არაორდინარულ პიროვნებას, როგორიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, საბჭოს წევრი, პროფესორი გიორგი ტყეშელიაძეა, პიროვნული ემოცია, მისდამი დიდი სიყვარული, დიდი პატივისცემა გვერდზე უნდა გადადო.**

გ. ტყეშელიაძე 1929 წლის 23 თებერვალს დაიბადა ქ. ტყიბულში. იქაური საშუალო სკოლა 1947 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. ამის შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. სტუდენტობის წლებშივე მისი მონდომება, შემოქმედებითი აზროვნების უნარი და სიბეჯითე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სასიქადულო მეცნიერ-იურისტებს, პროფესორ თინათინ წერეთელსა და ვლადიმერ მაყაშვილს (თავად ისინი ფართოდ და ღრმად განსწავლული ადვოკატის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოსწავლეები იყვნენ). ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა გ. ტყეშელიაძის მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულების განსაზღვრისათვის. ამის უპირველესი დასტურია პროფ. თ. წერეთლის ხელმძღვანელობით გ. ტყეშელიაძის თანაავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულზე“ (1967 წ.). მასში განხილულია დანაშაულის შემადგენლობის ცნება და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, გაშუქებულია დანაშაულის ობიექტისა და ობიექტური მხარის საკითხები. შეჯამებულია სისხლის სამართლის მეცნიერების მიღწევები, ასახულია ავტორთა პოზიცია სადისკუსიო საკითხებზე. ხსენებული მონოგრაფია მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც გ. ტყეშელიაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა (მანამდე იგი იურიდიული ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი იყო). ამ ინსტიტუტში მუშაობისას მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც დანაშაულთა ერთობლიობისა და რეციდივის საკითხები იყო განხილული. ნაშრომი გამოქვეყნდა 1975 წელს.



აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში შექმნილი დაძაბული კონფლიქტური სიტუაციის გამო გ. ტყეშელიაძე იძულებული გახდა მიეტოვებინა ეს ინსტიტუტი და მცირე ხანს იმუშავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომლის შემდეგ იგი დანიშნეს მთავრობის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგედ.

სადოქტორო დისერტაცია სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის შესახებ გ. ტყეშელიაძემ ქ. მოსკოვში საკავშირო აკადემიის სამართლის ინსტიტუტში დაიცვა 1982 წელს. ამის შემდეგ იგი აირჩიეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის გამგედ.

მართალია, გ. ტყეშელიაძის ნაშრომები უპირატესად სისხლის სამართლის პრობლემისადმია მიძღვნილი, მაგრამ მათი განხილვა ორგანულადაა შერწყმული სამართლის თეორიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის საკითხებთან, ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მისი მონოგრაფია სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის შესახებ (1975 წ.), ეს პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში პირველად სწორედ მან გააშუქა, დაასაბუთა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ყალიბდება ისეთი დებულებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც კანონის სწორი შეფარდების, ისე კანონმდებლობის სრულყოფისა და განვითარებისათვის. ამ ნაშრომზე ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა უნგრეთის იურიდიულ ჟურნალში. პირველად ჩვენს ლიტერატურაში სწორედ გ. ტყეშელიაძემ გამოარკვია ღირებულების თეორიის (აქსიოლოგიის) თვალსაზრისით, სამართლებრივი ნორმის არსი, სტრუქტურა და დანიშნულება. ამით მან საიმედო გზა დასახა მართლწინააღმდეგობის და დანაშაულის შემადგენლობის მიმართების პრობლემის გადასაწყვეტად.

გ. ტყეშელიაძეს ღრმად აქვს გაცნობიერებული ის უდავო დებულება, რომ სწავლული იურისტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ თეორეტიკოსი, რომლისთვისაც განყენებულ თეორიულ კონსტრუქციებს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. თეორიულ, იურიდიულ კონსტრუქციებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, თუ ისინი მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ პრაქტიკას. ამის დასტურია გ. ტყეშელიაძის მონოგრაფიები და საჟურნალო სტატიები, რომელთა რიცხვი 100-ს აჭარბებს. პრაქტიკასთან კავშირის დამადასტურებელია გ. ტყეშელიაძის მუშაობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარედ, დღესაც არ დაუკარგავს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ვლადიმერ მაყაშვილთან ერთად გამოცემულ ნაშრომს, რომელიც მეძრთამეობისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას შეეხება (1964 წ.).

რასაკვირველია, უნდა მოვიხსენიოთ გ. ტყეშელიაძის პედაგოგიური მოღვაწეობა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი ლექციები და სემინარები ახალგაზრდობის დიდ ინტერესს იწვევს. გ. ტყეშელიაძის მოხსენებები და გამოსვლები საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე გამოირჩევა პრობლემის ორიგინალური გაშუქებით. სამაგალითოდ მოსახსენიებელია გერმანულ ენაზე სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული მისი ნაშრომი, რომელიც მოსამართლის შეხედულებას შეეხება.

გ. ტყეშელიაძე უპირატესობას იურისტის ზნეობრივ პრინციპებს ანიჭებს. ამიტომ იგი უანგარობის მაგალითი და ზნეობრივი პრინციპების ზუსტი შემსრულებელია, მას ღრმად სწამს, რომ ადამიანი ვერ გახდება ჭეშმარიტი იურისტი, თუ იმთავითვე არ ჩამოყალიბდა როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი მსახური სამართლიანობისა.

იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლით. ჩვენ გვწამს, რომ მისი დამახასიათებელი რწმენა და მეცნიერებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მისი სიცოცხლის მძლავრი სტიმულია. ამის ნათელი მაგალითია მისი თავდაუზოგავი შრომა. ამის დასტურია სულ ახლახან მისი თანაავტორობით ორჯერ გამოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო.

პროფესორი
**მზია ლეკვეიშვილი,**
პროფესორი
**ოთარ გამყრელიძე.**

რეფორმა




***თებერვალი თბილისის მერიამ სხვადასხვა სიახლით დაიწყო: ავტობუსებში სალარო-აპარატები დაამონტაჟა, მრავალსართულიან სახლებში ბუნკერებს გააუქმებს და თანამედროვე ნაგავსაყრელებს დადგამს. გასულ კვირას კი გიგი უგულავამ ახალი რეფორმა ბაგა-ბაგებშიც დაიწყო. სკოლამდელი აღზრდის ცხრა დაწესებულება დეცენტრალიზაციის მეთოდზე გადავიდა და ფინანსირების სისტემა სრულიად შეიცვალა.***

***რას ემსახურება მერიის ახალი ინიციატივა, ამაზე საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ძაძარავა გვესაუბრება.***

# რა ექსპერიმენტებს ატარებენ ბაგა-ბაღებში და რატომ?

– როცა ახალი სისტემის დანერგვა გადავწყვიტეთ, ამისთვის 9 საპილოტო ბაგა-ბაღი შევარჩიეთ, სადაც არც დევნილები არიან და არც დავალიანება აქვთ. ამ ბაღების თითოეულ აღსაზრდელს ვაძლევთ 800-ლარიან ვაუჩერს და ამიერიდან დირექტორი განკარგავს ამ თანხას, სათათბიროს საბჭოსთან ერთად. ამ საბჭოში შევლენ აღმზრდელები და მშობლები. ხოლო სექტემბრიდან ეს მეთოდი ყველა ბაგა-ბაღში ამოქმედდება.

**– რატომ გახდა ეს სისტემა აუცილებელი?**

– დღემდე ბაგა-ბაღების ფინანსირება ცენტრალური წესით ხდებოდა. ელემენტარული პრობლემის მოსაგვარებლად დირექტორს უხდებოდა წერილობითი მიმართვა გამგეობისადმი, მერე ის გაივლიდა მთელ ბიუროკრატიულ გზებს და დროის დიდი მონაკვეთის შემდეგ გვარდებოდა ესა თუ ის პრობლემა: ნათურის გამოცვლა, გაზქურის თუ ონკანის შეკეთება... ასევე არ ხდებოდა შუქის, გაზის და ა. შ. ყაირათიანი ხარჯვა, ვინაიდან ხარჯებს სახელმწიფო იხდიდა.

**– 800 ლარი ის თანხაა, რასაც ცენტრალური ბიუჯეტი ხარჯავდა ერთ ბავშვზე?**

– დიახ, საერთო ბიუჯეტი გავყავით 156 ბაღის აღსაზრდელზე და 700 ლარი შეადგინა. დამატებითი ხარჯებისთვის 100 ლარი დავუმატეთ. ეს თანხაც პირობითია, რადგან გვაქვს სარეზერვო ფონდი და თუ ბაღს პრობლემა შეექმნება, თანხას იქიდან გამოვუყოფთ.



ვაუჩერი ითვალისწინებს ბავშვის კვებას, აღმზრდელისა და ძიძის მუშაობის ანაზღაურებას, მუსიკისა და ხატვის სწავლას. თუ მშობლები ისურვებენ წრეების შექმნას, ის მშობელთა ფონდიდან უნდა დაფინანსდეს. დამატებითი სერვისის დაფინანსება კანონით სახელმწიფოს არ ეკისრება. ამ თანხაში შევა სამეურნეო ხარჯები. რაც ეკონომიკურად დაზოგავენ, მით მეტი თანხა დარჩებათ.

ვაუჩერში არ შედის საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტის ხარჯები. ამას ჩვენს თავზე ვიღებთ. 2009-2010 წლებში თბილისის ყველა საბავშვო ბაღში რემონტი ჩატარდება, ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტს დააკმაყოფილებს.

**– თითქოს შარშან უნდა გადაწყვეტილიყო ეს საკითხი, დევნილების ამ დაწესებულებებში შესახლებამ ხომ არ შეუშალა ხელი?**

– გარკვეულწილად – კი. თუმცა შარშან თანხები კაპიტალური რემონტისთვის კი არ იყო გათვალისწინებული, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამუშაოების მოსაგვარებლად. მარტში დაიწყება მოლაპარაკება დონორ ორგანიზაციებთან, კრედიტს აიღებს სახელმწიფო, რომელსაც 30 წლის განმავლობაში თანდათან დაფარავს, სამაგიეროდ, ყველა ბაგა-ბაღში თანაბარი პირობები იქნება და პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება.

**– დირექტორი ფაქტობრივად მენეჯერი გახდება?**

– დიახ. ის განკარგავს ფინანსებს. მასზეა დამოკიდებული, რამდენად გეგმიურად და ეკონომიურად გახარჯავს ბიუჯეტს. ამ პრივილეგიამ დირექტორი არ უნდა შექმნას როგორც ბუტაფორია. მას კონტროლს გაუწევს როგორც სახელმწიფო, ისე სათათბირო საბჭო. 9 პილოტირებული ბაღის მაგალითზე კიდევ უფრო დავხვეწავთ და განვსაზღვრავთ მათ უფლებამოსილებას.

**– მართლაც, შეიძლება ბაგა-ბაღს საშველი დაადგეს ფინანსური და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღსაზრდელების განათლების დონე. ვინ განსაზღვრავს სწავლების სტანდარტებს, პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?**

– სამწუხაროდ, ბაგა-ბაღებს განათლების კანონი არ არეგულირებს. პროფკავშირმა დასვა საკითხი, რომ აღმზრდელებს პედაგოგის სტატუსი მიენიჭოთ. ამ შემთხვევაში „ცივი გონებით“ გადაწყვეტა სჭირდება. დღეს, ალბათ, არიან აღმზრდელები, რომლებსაც შესაბამისი განათლება არა აქვთ. მაგრამ საკითხის ამ ეტაპზე წინ წამოწევამ შესაძლოა, სოციალური წინააღმდეგობა შექმნას. გლობალური კრიზისის ფონზე რადიკალურად ჩარევა ამ საკითხში არ გვინდა.

მაგრამ, ამის მიუხედავად, პარლამენტში შექმნილია სპეციალური ალიანსი, გიგი წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელსაც აქტიური კონსულტაციები აქვს „იუნისეფთან“. ერთი წლის ვადაში დაიდება ყველა ის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სკოლამდელი აღზრდის სტანდარტებს და ნორმატივებს განსაზღვრავს, როცა კანონის ფარგლებში მოექცევა სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია და მიმართულება, აღმზრდელების გადახალისების აუცილებლობა თავისთავად დადგება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არათუ განათლების სტანდარტი, არამედ 2007 წლამდე ბაგა-ბაღები საერთოდ არასამართლებრივ სივრცეში ფუნქციონირებდნენ. ბაღი იყო შენობა, რომელსაც ვითომ დირექტორი ჰყავდა, მაგრამ იურიდიული სტატუსი არ ჰქონდა.

2009-2010 წლებში გზადაგზა ყველა ეს ხარვეზი აღმოიფხვრება, კიდევ უფრო ღრმად შევისწავლით სხვადასხვა პრობლემას, რომელმაც შესაძლოა თავი იჩინოს, ხოლო 2011 წლისთვის გვექნება ბაგა-ბაღები შესაბამისი სტანდარტებით. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ!

ესაუბრა
**ნია ფიფია**

***P. S. მერიის ინიციატივას სკოლის დირექტორები გაგებით შეხვდნენ და მიაჩნიათ, რომ ეს მართლაც სწორი გადაწყვეტილებაა. მართალია, ბაღის დირექტორებს შემოსავალ-გასავლის მისხალ-მისხალ აღწერა მოუწევთ, მაგრამ ამბობენ, რომ ბიუროკრატიას ეს მაინც სჯობს. მშობლებსაც სახელმწიფოს მისამართით სასაყვედურო არაფერი ექნებათ. თუ რამეთი უკმაყოფილონი იქნებიან, ამისთვის დირექტორს მოსთხოვენ პასუხს...***

***ნ. ფ.***

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ერთი წლის წინათ უეცრად გარდაცვლილი ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის „გულითადმა მეგობარმა“ გააძლიერა ზემოქმედება განსვენებულის ქვრივზე – ინა გუდავაძეზე, ყოფილი პარტნიორის ექვსმილიარდიანი (გირვანქა სტერლინგი) მემკვიდრეობის ნახევარი მე მეკუთვნისო.**

„ერთად შექმნილი“ სიმდიდრის ნახევარზე თავისი უფლებები ბერეზოვსკიმ გააცხადა მაშინვე, როგორც კი უეცრად გარდაიცვალა პარტნიორი – გასული წლის 12 თებერვალს პატარკაციშვილი საკუთარ მამულში სურეის საგრაფოში.

ერთი წლის შემდეგ გაქცეულმა ოლიგარქმა განაგრძო შეტევა. გასულ კვირას მან გამოაცხადა, რომ ბადრისთან ერთად გაკეთებული განცხადება აქტივების გაყოფის შესახებ იყო „ფანდი, საჯარო ჟესტი კრემლისადმი“, რომელთან შეტაკება, ბერეზოვსკის თქმით, „სერიოზულად უთხრიდა ძირს საერთო ბიზნესს“. მაგრამ „არავითარი რეალური ნაბიჯი აქტივების გასაყოფად“ თითქოს არ გადადგმულა. „ამის დამტკიცება ადვილია“, – ამბობს იგი. მაგრამ... ჯერჯერობით უსაბუთოდ.

ცნობილია, რომ ბადრის არ უყვარდა თავისი მოქმედების



# კრიზისმა ბერეზოვსკის ბადრის მილიარდები გაახსენებინა

განსვენებულის ქვრივი ინა გუდავაძე დათანხმდა კიდეც, თანაც წერილობით და დიდი ბრიტანეთის ყოფილი გენერალური პროკურორის თანდასწრებით, მიეცა ბერეზოვსკისათვის ოლიგარქის მემკვიდრეობის სამი მილიარდი. მაგრამ პრაქტიკულად მაშინვე გადათქვა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბადრიმ გამოაცალკევა თავისი ბიზნესაქტივები ბორის ბერეზოვსკისთან ერთად შენაძენი სიმდიდრისგან. ბერეზოვსკისაც თავად განუცხადებია ეს.

დოკუმენტირება. მას ანდერძიც კი არ დაუტოვებია. ამით ბევრი ცდილობდა ფულის გაკეთებას. მემკვიდრეობის პრეტენდენტთა შორის აღმოჩნდა იოსებ კაკალაშვილი (ამჟამად ამერიკელი ბიზნესმენი ჯოზეფ ქეიძ და მავანი ქალი, რომელიც მოგვიანებით პატარკაციშვილის უკანონო მეუღლედ ცნეს – მასთან მან ხელი მოაწერა 1997 წელს, როცა უკვე 20 წელიწადს იყო ინა გუდავაძის მეუღლე. ორივე გააცურეს. ეტყობა, არცთუ თვით ბერეზოვსკის დაუხმარებლად, რომელიც მგზნებარედ იცავდა პატარკაციშვილის ქვრივის ინტერესებს. თუმცა, რატომღაც მან თავისი პირადი თვითმფრინავი დაუთმო ქეის ადვოკატს ემანუილ ზელცერს. მართალია, მალე იურისტი გადმოვიდა დისტანციიდან და პირში ჩალა გამოავლო თავის კლიენტს, იგი დააკავეს ბელორუსიის სპეცსამსახურებმა და საკმაოდ დიდხანს აყურყუტეს იქ.

მაიამის მახლობლად მდებარე ფეშენებელური კუნძულის მფლობელმა ჯოზეფ ქეიმ ბადრის სიკვდილი დააბრალა სწორედ „დემონსა და ჰიპნოზიორს“... ბორის ბერეზოვსკის.

თვით ბერეზოვსკი ჩივის, პატარკაციშვილს ძლიერ ეტკინებოდა გული, რომ შეეტყო, რომ მის ქვრივს არ სურს მისცეს მას, „ბადრის ყველაზე ახლობელ ადამიანს დედამიწაზე“, ქონების ნახევარიო. „სამწუხაროდ, ინაზე გავლენას ახდენენ ადამიანები, რომლებიც გამდიდრებას ცდილობენ“, – ციტატად მოჰყავს მისი სიტყვები Sunday Times-ს. რაც შეეხება თვით ბერეზოვსკის, არც ისე დიდი ხნის წინათ იგი იძულებული გახდა გაეყიდა თავისი იახტა, ოლიგარქის გარემოცვა კი ამტკიცებს, ბადრის შემდეგ იგი ლამის დიდ გასაჭირში ჩავარდაო. ასე რომ, სამ მილიარდ გირვანქა სტერლინგზე ბორის აბრამოვიჩი ასე უბრალოდ უარს არ იტყვის.

ვიქტორია ლებლანი

ИЗВЕСТИЯ

---

# ნატოს წევრობის ალტერნატივა

**ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესვლა არარეალურია, რაც უნდა თქვას ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მათი პოტენციალის შესახებ, როგორც ამას შვრებოდა თავის ორ ბოლო სამიტზე. ასეთი შესაძლებლობა გაქრა – და არა იმიტომ, რომ ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა, უწინარეს ყოვლისა საფრანგეთი და გერმანია, გაღიზიანებული ილაშქრებდნენ ალიანსის გაფართოებისთვის გამიზნული ბუშის არაპოპულარული ადმინისტრაციის მოქმედების წინააღმდეგ.**

მიზეზები აქ უფრო ღრმა სტრუქტურული ხასიათისაა.

ჯერ ერთი, ამ ქვეყნების საშინაო სიტუაცია მოწმობს მათი ალიანსში შესვლის შეუძლებლობას. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უგუნურმა ომმა ბევრად უფრო მძლავრი რუსული არმიის წინააღმდეგ, რომელიც მან დაიწყო რუსეთის პოტენციალის შესახებ შეერთებული შტატებისგან მიღებული სრული ინფორმაციის მიუხედავად, დაანახვა ნატოს, თუ როგორ შეუძლია ძველ კონფლიქტთან შეთავსებულ ცუდ ხელმძღვანელობას ჩაითრიოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საომარ მოქმედებაში, რომელიც მას აბსოლუტურად არ სჭირდება.

უკრაინაში მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს არ უჭერს წევრობის იდეას. მეტიც, ქვეყნის აღმოსავლეთში არსებობს ნატოში ქვეყნის შესვლის მძლავრი ოპოზიცია. თუ უკრაინის ხელმძღვანელობა დაიწყებს ამ გეგმის განხორციელებას, ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას ღრმა განხეთქილება, რომელიც კატასტროფულ შედეგებს მოუტანს უკრაინის მთლიანობასა და ერთიანობას.

მეორე, „ცივი ომის“ დამთავრების პერიოდის მოლოდინის საწინააღმდეგოდ ევროპაში მსხვილმასშტაბიანი ომი ჩვეულებრივ შეიარაღებათა გამოყენებით კვლავ იქცევა რეალურ საფრთხედ. ნატოსთვის ყველაზე ცუდი სცენარი ის არის, რომ ალიანსი ვერ დაიცავს თავის ერთ-ერთ წევრს, როგორც ამას V მუხლი მოითხოვს, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო (უკვე ახლა ნატოს მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი წინააღმდეგია იმისა, რომ იომონ ბლოკის წევრი ცენტრალური ევროპის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს გულისთვის). ასევე ცუდია სცენარი, რომლის მიხედვით ნატო ვერ დაიცავს თავის მოკავშირეს სამხედრო ხასიათის მიზეზთა გამო. სწორედ ასეთი იქნება საქმის ვითარება საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით ახლანდელ გარემოებებში. ამრიგად, ნატო დაემსგავსება „ქაღალდის ვეფხვს“ და თანდათანობით დაკარგავს თავის ავტორიტეტსა და მნიშვნელობას.




მესამე, დასავლეთთან რუსეთის ურთიერთობამ მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს „ცივი ომის“ დამთავრების მომენტიდან. ნატოს გაფართოება, სტრატეგიული და ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლის სისტემის დანგრევა, ცენტრალურ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაშლა, აგრეთვე ის, რომ დასავლეთს არ სურს კონსულტაციები გამართოს მოსკოვთან იმ საკითხებში, რომლებიც მას საკუთარი ინტერესებისთვის საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხებად მიაჩნია, – ყოველივე ამან რუსეთს შეუქმნა იმ შეგრძნებათა არასასიამოვნო ნარევი, რომ მას სულაც არ ექცევიან როგორც დიდ სახელმწიფოს.

საქართველოსა და უკრაინის ნატოს წევრობა საშიში ზღვარია, რომელიც ამ ქვეყნებს ანიჭებს არათანაზომიერ მნიშვნელობას. დასავლეთმა უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტი, თუ მას სურს გააუმჯობესოს სიტუაცია ევროპაში და რუსეთი დაიბრუნოს პარტნიორად მსოფლიო პრობლემების გადაჭრაში.

საქართველო და უკრაინა იმსახურებენ იმას, რომ არსებითი დახმარება გაუწიონ ნატომ და ევროკავშირმა – და მიიღებენ კიდეც. მაგრამ აზრი არა აქვს მათი უშიშროების უზრუნველყოფის გრძელვადიანი პრობლემების გადაჭრას ცალკე, საერთო პროცესის ჩარჩოებს გარეთ. ისინი ხომ არიან ნაწილი რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკაში ობამას ადმინისტრაციის მიერ დაპირებული საჭირო გარდაქმნისა, რომელსაც დიდი მოუთმენლობით ელიან მისგან ევროპელი მოკავშირეები. ასეთი გარდაქმნის ჩარჩოებში შესატანი იქნება აგრეთვე სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის, მასობრივი მოსპობის იარაღის გაუვრცელებლობისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხები.

რაც შეეხებათ საქართველოსა და უკრაინას, მათი პრობლემების გადაწყვეტისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორ მომენტს. ჯერთ ერთი, საჭიროა დასავლეთისა და რუსეთის საერთო დიალოგი ევროპის უშიშროების პრობლემებსა და ისეთი მიდგომებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ მთლიანად სიტუაციის გაუმჯობესებას. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მხარი დაუჭირეს ამ იდეას ევროპის მრავალი სახელმწიფოს ჩუმი, მაგრამ აშკარა მოწონებით.

მეორე, სამხედრო უშიშროების პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ გზით, რომ აღორძინდეს ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ. ეს ხელშეკრულება 1990 წელს დაიდო, 1999 წელს კი ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებას, რომელმაც იგი შეუსაბამა შეცვლილ გარემოებებს. ამ შეთანხმების უპირატესობა ის არის, რომ იგი აწესებს გეოგრაფიულ ზონებში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ზედა ფარგლებს, ითვალისწინებს საბრძოლო ტექნიკის მოსპობას, შემოწმების მოწყობას, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოეთის ჯარების განლაგების წესებს.

ეს ხელშეკრულება ამჟამად დაბლოკილია ნატოსა და რუსეთის ურთიერთდაკავშირებულ პირობათა გამო. რუსეთმა შეაჩერა თავისი მონაწილეობა ამ ხელშეკრულებაში. და რაღა თქმა უნდა, იგი არ არის ყველა ბოროტების პანაცეა. საჭიროა იმ პრობლემათა გადაჭრის დაწყება, რომლებიც თავისთავად არსებობდნენ ორი ათწლეულის განმავლობაში. და ევროპაში ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღების კონტროლის განახლება შექმნის იმის შანსს, რომ გადაიჭრას საქართველოსა და უკრაინის (აგრეთვე ევროპის მთელი რიგი სხვა ქვეყნებისძ უშიშროების კონკრეტული პრობლემები. ეს პროცესი გახდება დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში კონსტრუქციული (ამის იმედი გვაქვსძ ცვლილებების ელემენტი.

კარლ კაიზერი

International Herald Tribune

თვალსაზრისი

# ეჭიმიაწინი თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემას უპირობოდ მოითხოვს...



**საქართველოს სომხური ეპარქიის ორგანოში, ჟურნ. „ნორაშენის“ 2008 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი სტატია — „თბილისის სურბ-ნშანის (წმ. ნიკოლოზის) ეკლესია“. ეკლესია დგას ერეკლე მეფის მოედნის ზემოთ, ვერცხლის და სულთნიშნის (ყოფ. ა. აკოფიანის) ქუჩების გადაკვეთაზე).**

სტატიის ავტორს მოაქვს 1624, 1656 წლების სომხური საარქივო მასალა და ამ მასალის საფუძველზე, ერთგვარად მიანიშნებს თითქოს ეს ეკლესია თავიდან იყო სომხური. მოტანილი საარქივო საბუთები მის სომხურ წარმომავლობას კი არ მოწმობენ, არამედ ისინი მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ეს ქართული ეკლესია 1624, 1656 წლებში ე. ი. XVII ს-ში უკვე სომხების ხელში იყო. როდის, რა გზით მოხდა ეს დასადგენია. აქვე დავძენთ, ავტორს თუ უნდოდა თბილისის მართლმადიდებელი წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის თავიდან სომხურობა დაესაბუთებინა, რისი სურვილიც სტატიაში აშკარად ჩანს, უნდა მოეხმო უფრო მეტად სარწმუნო დოკუმენტი, რომელიც ამ ეკლესიის აშენების თარიღს, მის სომხურობას პირდაპირ თუ არ მიუთითებდა, არაპირდაპირ მაინც მიანიშნებდა. თუ ფიქრობს, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესია XVII ს-ში აიგო, მაშინ ხსენებული სომხური საარქივო მასალა არ გამოადგება, რადგან მასში ლაპარაკია ერთ სომეხ ბერზე, რომელსაც 1624 წელს სომხური ხელნაწერი გადაუწერია ამ ეკლესიაში, აგრეთვე 1656 წლის სომხურ ჩანაწერზე, საჩუქარზე და სხვ. ერთი ცხადია, ამ საბუთების მიხედვით თბილისის მართლმადიდებელი წმ. ნიკოლოზის ეკლესია XVII ს-ში უკვე სომხურ-გრიგორიანულია.

როგორც აღნიშნული სომხური საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ამ ეკლესიას 1624 წელს ეწოდებოდა წმ. ნიკოლოზის სახელი, 1656 წელს კი უკვე მოხსენიებულია სურბ-ნშანად. ეს ფაქტი ხომ არ მოწმობს, სომეხმა სასულიერო პირებმა მისი ქართულობის კვალის საბოლოოდ წასაშლელად 1656 წლიდან სომხური სახელი სურბ-ნშანი (წმინდა ჯვარი) უწოდეს?!.

ვფიქრობთ, ახლა უპრიანია მოკლედ მიმოვიხილოთ თბილისის მართლმადიდებელი წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის ირგვლივ არსებული სხვადასხვა წყაროები. ვახუშტი ბაგრატიონი თავის ისტორიაში გვაუწყებს, სომხებს თბილისში მიუსაკუთრებიათ („უპყრავთ“) შვიდი ქართული ეკლესია („ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 336). ამ ცნობას კომენტარს უკეთებს პლ. იოსელიანი და წერს — „ერთ-ერთი მათგანია სურბ-ნშანი, რომელიც ადრე იყო მართლმადიდებელი და ეწოდებოდა წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელი“ („თბილისის სიძველეების აღწერა“, 1866, გვ. 258, რუს. ენაზე). ამ ცნობას ავტორი „გამოგონილს“, „შეთხზულს“ უწოდებს. მიუღებლად და თითქმის ეროვნულ სირცხვილად მიაჩნია, სომეხი მკვლევარის გ. ალაიანცის აზრი, რომელმაც გაიზიარა და აღიარა პლ. იოსელიანის აღნიშნული ცნობა — თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის ადრე მართლმადიდებლობის, ე. ი. მისი ქართულობის შესახებ.

ეს ეკლესია მართლმადიდებელ, ყოფილ საკულტო ნაგებობად მიაჩნია აგრეთვე „კავკასკი კალენდარში“ გამოქვეყნებულ სტატიის ავტორს, რომელიც წერს — „სურბ-ნშანი და კიდევ მრავალი სხვა მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში მიუსაკუთრებიათ სომხებს“ (1886 წ. თბ. 1885, გვ. 152, რუს. ენაზე).

სომეხი ავტორის სტატიაში მოტანილია აგრეთვე ჩვენი აზრი სურბ-ნშანის ადრე მართლმადიდებლობის შესახებ. ეს აზრი დამყარებულია, ერთი მხრივ აღნიშნულ ტრადიციულ ცნობაზე, მეორე მხრივ სომეხი მეცნიერების ბ. ულუმბაბიანის და გ. ასატრიანის შეხედულებაზე. ამ მეცნიერთა აზრით „სომხეთში არ იყო მიღებული ამ წმინდანის (იგულისხმება წმ. ნიკოლოზი **ბ. ა.**) თაყვანისცემა“ („ჰაიკაზიანთა არმენილოგიური ჟურნალი, ტ. VIII, 1980, გვ. 37-38, ბეირუთი, სომხ. ენაზე) ეს კი ჩვენ ავტორს არ მოსწონს და აცხადებს, „წმ. ნიკოლოზის კულტი, სინამდვილეში ფართოდ იყო გავრცელებული სომხეთის სხვადასხვა პროვინციებში, სადაც მრავალრიცხოვანი ეკლესია არის მისი სახელობის“. მართალია ამბობს, „მრავალრიცხოვანიო“, მაგრამ დასახელებული აქვს სამიოდე. ამ სამიოდე ეკლესიის მიხედვით ზედმეტია ლაპარაკი წმ. ნიკოლოზის პოპულარობაზე სომხეთში. თუ რატომ არ იყო მაინცდამაინც მიღებული სომეხთა შორის წმ. ნიკოლოზი, ამის მიზეზი ზემოხსენებული სომეხი მეცნიერები ლაპარაკობენ აღნიშნულ ნაშრომში.

სტატიის ავტორს მართალია კეთილსინდისიერად მოაქვს კიდევ სხვა მკვლევართა შეხედულებანი თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის ადრე მართლმადიდებლობის თაობაზე, მაგრამ საპირისპირო დასკვნა კი გამოაქვს — „საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს რომ არ არსებობს თუნდაც ერთი ფაქტი (ტრადიციული „გამოგონილის“, „შეთხზულის“ გადმოცემის გარდა), რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც მოწმობდეს ამ ეკლესიის ქართულ წარმომავლობას 1703 წლებამდე. მაშინ როცა გვაქვს ფაქტობრივი მასალა, რომელიც მეტყველებს ამ ეკლესიის თავიდან სომხურობაზე XVII ს-ში“. ეს დასკვნა გამოტანილია 1624, 1656 წლების აღნიშნული სომხური საარქივო საბუთების საფუძველზე. ეს საარქივო ჩანაწერები ღაღადებენ მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ XVII ს-ში, შეიძლება ცოტა ადრეც, წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესია სომხების ხელში ყოფილა, რაც არ ნიშნავს მის თავიდან სომხურობას. მას თუ სურდა დაემტკიცებინა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სომხური წარმომავლობა, უნდა მოეტანა ამ ეკლესიის ქტიტორული წარწერა ან ქართველი მეფის თარიღიანი სიგელი, ნებართვა, რომლის მიხედვით ცხადი გახდებოდა რომ ქართველი მეფე სომხებს აძლევს უფლებას ააშენონ ვერცხლის ქუჩაზე ეკლესია, რომელიც წმ. ნიკოლოზის სახელობის იქნება. ანდა უნდა მოეხმო ანალოგიური შინაარსი სხვა მეცნიერული ძალის მქონე საბუთი. ამის მსგავსს არაფერს არ იმოწმებს და პლ. იოსელიანის, გ. ალაიანცის და სხვათა შეხედულებებს „გამოგონილს“, „შეთხზულს“ უწოდებს, რადგან მათი აზრები მის პოზიციას არ ადასტურებს. ეს უკვე მეცნიერება აღარ არის.

რაც შეეხება წმ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს კულტს საქართველოში, ვერ ვიტყვი ის პოპულარული იყო როგორიც წმ. გიორგის, მაგრამ საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული და მის სახელზე ეკლესიების არც თუ მცირე რიცხვია აქ. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით მეტი, ვიდრე სომხეთში. წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ეკლესიებია: ნიკორწმინდის (XI ს), ჩუღურეთის (XVII ს.) ნარიყალას (XI ს.), წინწყაროს (აღდგენილია XIX ს-ში), მატნის (XVI ს.), ქვემო ნიჩბისის (XVII ს.), ტანძიის (XVII ს.), ანანურის მახლობლად დუშეთის (XIX ს.) და სხვ. ეს არის მცირე ჩამონათვალი წმ. ნიკოლოზის ეკლესიების, რომლებიც მოფენილნი არიან საქართველოს მხარეებში. ასევე ფართოდ არის გავრცელებული წმ. ნიკოლოზის სასწაულმოქმედი გამოსახულებები კედლის მხატვრობაში. (იხ. ეკ. კვაჭატაძე — „წმ. ნიკოლოზის სახელობის რელიეფური ხატი ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე („საქართველოს სიძველეები, ტ. XV 2007, გვ. 141).

სომეხი ავტორი გრძნობს, რომ არასაკმარისი საბუთების და არა დამაჯერებელი არგუმენტის გამო მან ვერ უარყო ტრადიციული ცნობა თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის), თავიდან ქართულობის შესახებ და ამიტომ ეს სუსტი მხარე რომ გადაფაროს, უხვად მოაქვს 1703 წლის შემდგომი ხანის სომხური საარქივო მასალა, იმის შესახებ — თუ რამდენჯერ ჩაუტარეს სომხებმა კაპიტალური რემონტი სომხურად ქცეულ ამ ქართულ ეკლესიას. დეტალურად არის აღნუსხული სომხური საარქივო მონაცემები, თუ რამდენი ათასი მანეთი, რამდენი ურემი, სილა, აგური და სხვა საამშენებლო მასალა დაიხარჯა სხვადასხვა დროს. ყოველივე ამაზე შეჩერება არ ღირს, რადგან მოტანილი საბუღალტრო მონაცემები არ გამოდგება სურბ-ნშანის თავიდან სომხურობის დასამტკიცებლად. ფაქტი ერთია, თბილისის წმ. ნიკოლოზის ქართული ეკლესია გადაკეთებულია სომხურ სურბ-ნშანის ეკლესიად. ეს ქმედება კი ყველა დროის კანონით მიუღებელია და ითვლება სხვის ტერიტორიაზე, სხვისი საკულტო ძეგლის მიტაცებად...

ამდენად, თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემა არ შეიძლება, რადგან სომხურმა მხარემ ვერ წარმოადგინა სარწმუნო საბუთები ამ ეკლესიის თავიდან სომხურობის შესახებ. წმ. ნიკოლოზის ეკლესია თავიდან რომ ქართული იყო და შემდეგ მიისაკუთრეს სომხებმა, ეს თვალნათლივ ჩანს განხილული მონაცემების შუქზე. ამიტომ, ეს ეკლესია უნდა დარჩეს საქართველოს საპატრიარქოს განკარგულებაში, როგორც დღემდე იყო და მის უპირობო ან პირობით გადაცემაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**ბონდო არველაძე**

ინფორმაცია

## კუბლაშვილს კინკლაობისთვის არ სცალია. მან გლობალური კრიზისი უნდა აღმოფხვრას

**ხელისუფლებას** შიდა კინკლაობისთვის არ სცალია და ოპოზიციისგან განსხვავებით, გაზაფხულზე ენერგიის დახარჯვას ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლაში გეგმავს.

ამის შესახებ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიცია შეცდომებს იმეორებს და კვლავ არ საუბრობს კონკრეტულ პროგრამებზე — არ საუბრობს იმ საკითხებზე, რაც საზოგადოებას დღეს აინტერესებს.

კუბლაშვილმა დასძინა, რომ, შესაძლოა, ოპოზიცია გაზაფხულზე არეულობისთვის ემზადება, მაგრამ ხელისუფლება ამ შიდა კინკლაობას იმ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას დაუპირისპირებს, რაც გლობალური ფინანსური კრიზისით იქნება გამოწვეული.

რაც შეეხება ოპოზიციის მოსაზრებას, რომ არსებულ ხელისუფლებას საერთაშორისო მხარდაჭერა არ აქვს და მათ შორის აღარც ამერიკის ადმინისტრაციის, ხელისუფლებაში ამ მოსაზრებას სერიოზულად არ აღიქვამენ და მასზე არც სერიოზული კომენტარის გაკეთება სურთ.

## ქსნის კოლონიაა თუ ოსვენციმი?

**სასჯელაღსრულების** ქსნის დაწესებულებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ„ (საია) სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა განაცხადა, ქსნის დაწესებულებაში საკმაოდ რთული მდგომარეობაა და ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა დამკვირვებლის ინფორმაცია. მონიტორმა, რომელიც ქსნის კოლონიაში იმყოფებოდა, 5 თებერვალს ერთი დღით დაათვალიერა საკნები, საშხაპეები, იქ არსებული მდგომარეობა, გაესაუბრა ადმინისტრაციას, ასევე, ერთ-ერთ მსჯავრდებულს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დაწესებულებაში არის საკმაოდ რთული მდგომარეობა. პატიმრებისთვის ხშირად არ არის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

ასოციაციამ მონიტორის გაგზავნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც დაწესებულებიდან 34 მსჯავრდებულის წერილი მიიღო. მსჯავრდებულები წერდნენ, რომ არსებობს მძიმე მდგომარეობა, უწევთ ცხოვრება ავტოფარეხის მსგავს საკნებში, არის ანტისანიტარია და ამის გამო ბევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა; კბილის ტკივილიც კი შეიძლება წამებად გადაექცეთ. არ არსებობს მედიკამენტი და არც ექიმი, ვინც ამ პრობლემას მოუგვარებს. საკანში სასმელი წყალი არ მოდის და გარედან ბოთლებით აწვდიან, ამ წყალს კი აბაზანიდან იღებენ. შხაპის მიღება შეუძლიათ კვირაში ერთხელ და ტემპერატურას არეგულირებს ადმინისტრაცია. წყალს საშხაპეებში აწვდიან იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ამა თუ იმ პატიმართან. ზოგჯერ მდუღარე, ზოგჯერ კი ცივი წყალი მოდის. ადგილი აქვს ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს.

თამარ ხიდაშელმა განაცხადა, რომ დაწესებულება გათვლილია 1600 პატიმარზე და 5 თებერვლის მდგომარეობით საპატიმროში იმყოფება 2176 პატიმარი.

მან მოიყვანა ევროსასამართლოს გადაწყვეტილება შალვა რამიშვილთან დაკავშირებით. როდესაც ევროსასამართლომ დაადგინა ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა, კერძოდ საქმე ეხებოდა საპატიმროს პირობებს, ანტისანიტარიულ მდგომარეობას და იქ არსებულ ვითარებას, გადატვირთულობის პრობლემას. ამ პრობლემებთან დაკავშირებით ევროსასამართლომ შალვა რამიშვილის უფლებების დარღვევა აღიარა.

თამარ ხიდაშელმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქსნის კოლონიის პატიმრები ევროსასამართლოს მიმართავენ, ისინი აუცილებლად მოიგებენ სარჩელს.

ასოციაციამ სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების ახლად დანიშნულ მინისტრს დიმიტრი შაშკინს ამ პრობლემით დაინტერესება სთხოვა.

ინტერპრესნიუსი

№ 24. სამშაბათი, 10 თებერვალი, 2009 წელი.

ბედი-მდევარი

**აი, ცხოვრება: ძლივს შემოვიდა ხელჯოხით კარებში ზაზა ბაწელაშვილი, უაზრო თვალებით მიყურებს, მერე, ეტყობა, მიცნო, გამიღიმა, მომიახლოვდა, რაღაც ამოთქვა, მგონი, როგორა ხარო...**

**გაგებული მქონდა, ზაზას ინსულტი დაემართაო და, აგერ რომ მოვიდა, გამეხარდა, თუმცა, ეტყობა, ჯერ კიდევ დრო უნდა, მდგომარეობიდან გამოსვლას... ხმა ძველებურად მქუხარე აღარ აქვს... რა შედარებაა, საერთოდ, დაკარგული მქონდა მეტყველება, რას იზამ, ასეთი ბედი მერგო, ძმაო, სიბერე გამიმწარდაო... სვენებ-სვენებით ლაპარაკობს, გონებას იკრებს, აზრს თავს უყრის... 70 წლის ვხდებიო, აგერ რამდენიმე ფოტო მოგიტანე, დანარჩენი შენ ყველაფერი იცი ჩემს შესახებ და, ერთი-ორი სიტყვა დაწერეო...**

**— კარგად იყავი, თავს მიხედე, გავაკეთებ რაღაცას და დაგირეკავ-მეთქი...**

# შენი ხმა კვლავაც გადმოვა...

რამდენჯერ მიფიქრია, დავით აღმაშენებელზე რომ ფილმი გადაიღონ, ალბათ, ზაზა ბაწელაშვილის ხმა უნდა ჩაუდგან-მეთქი. რა მქუხარე, რა გულიდან ამოსული, მჟღერი, თანაც ხავერდოვანი, მომფერებელი... ზაზა იყო შესანიშნავი მსახიობი, დასამახსოვრებელი სახეები აქვს შექმნილი რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში, თუმცა, მისი სტიქია, მაინც პოეზია და მხატვრული კითხვა დარჩა, რასაც თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება შეალია... 1966 წლის შემოდგომაზე, რა დამავიწყებს, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის კონკურსი რომ გაიმართა, ზაზამ — რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა, ხოლო მე, „ჭყინტმა“ (ხუთი წლითაა ჩემზე უფროსი) ძმობილმა ჟურნალისტმა, წამახალისებელი პრემიები მივიღეთ კონკურსში და ჩვენი მეგობრობაც იქიდან დაიწყო... უფრო მამულიშვილი, უფრო, ყოველივე ქართულისადმი გულანთებული კაცი, მე, პირადად, იშვიათად შემხვედრია და ეს ყოველთვის გამოსჭვივოდა კიდეც ზაზას რეპერტუარში.

იგი ნიჭიერი პოეტიცაა. და, სწორედ თავისი ლექსების მიხედვით, ბოლო წლებში შექმნა ტელემატიანეთა სერიალი საერთო სათაურით: „ზარი მეფობისაი: „ვახტანგ გორგასალი“, „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“, რომელთაც ზაზა დიდი შთაგონებით კითხულობს და სადაც ზედმიწევნით ჩანს მისი დეკლამაციის თავისთავადობა... ეს ერთხელაც დასტურდება ქალბატონ ზინა კვერენჩხილაძესთან ერთად გამოსვლისას ტელეფილმ „ფარსმან ქველში“ და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ კითხვისას.

ზაზას ლექსებში, პოემებში, მოთხრობებში, ნოველებში... ხმიანდება ჭეშმარიტი ოსტატი სიტყვისა, რომელსაც ახლავს კახური მიწის სინოყივრე, დიდი ტკივილი, დიდი განცდა...

ჰოდა, გამომეცხადა ეს კაცი ასე განახევრებული, თუმცა იმედიანი... ჩვენც იმედი მივეცით — უკეთესობის, გამოზაფხულების, გამოჯანმრთელების...

ღმერთი შენკენ, ჩემო ზაზა! შენი ხმა გადმოდიოდა, შენი ხმა კვლავაც გადმოვა!..



წიგნი... ჟურნალი... გაზეთი...

# „მე ავიწიე ზეცადა“

**„თმიანი დაბადებულა ვაჟა, გრძელი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული. უთქვამთ: „ნაწილიანიაო“, „ღმერთთან წილნაყარიაო“. ასე იყო ალბათ „დაწერილი“ — ხორციით უნდა გვემულიყო. ბოლოს კი, ამქვეყნიური მისიის შესრულების შემდეგ, თავისივე პირით უნდა ეთქვა ცოდვილი ქვეყნისთვის: „მე ავიწიე ზეცადაო“ და... ამაღლდა“.**

ეს არის ბოლო აბზაცი **გიგი ხორნაულის** ახლახან გამოცემული წიგნისა **„ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“**, რომელიც გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ გამოსცა (გამოცემის რედაქტორი: ვაჟა ოთარაშვილი, რედაქტორი: ნანა კოტეტიშვილი) და წინა ორ გამოცემასთან შედარებით, ავტორის მიერ შევსებულია ახალ-ახალი მასალებით.




ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად „ბევრის ბევრი“ რამ არის გაკეთებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმ კაცის მონათხრობი, ვინც გაიზარდა იმავე მთებში (ბატონი გიგი ხორნაულის სოფელი კაწალხევი ჩარგალს გასცქერის) და თითქმის იმავე გარემოში, როგორშიც ვაჟა-ფშაველამ გაატარა მთელი ცხოვრება.

ბატონი გიგი ხორნაული მრავალი საინტერესო წიგნის ავტორია, თუმცა, რა გასაკვირია, რომ მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ემუშავა ვაჟას ცხოვრების ამსახველ მასალაზე და, აკი, წინამდებარე წიგნიც ამის დასტურია...

# ბანი მუშკუდიანისა

**ცოტა ხნის წინათ, ოპერის ბაღში, ჩვენი ზურაბ ანჯაფარიძის საფლავთან გამართულ თავყრილობაზე (80 წლისთავის გამო) ცხადია, მობრძანდა ბატონი თენგიზ მუშკუდიანიც — უკვე სიბერეშეპარული, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისევ ძველებურად აღნაგი, დინჯი, დარბაისელი...** თითქოს, არც ღიმილს აკლია ის მომხიბვლელობა, ქალებს რომ აგიჟებდა მთელ საქართველოში კინოფილმ — „აბეზარას“.

დამეთანხმებით, რომ ეს კინონაწარმოები (მოგვიანებით კი „დიდოსტატის მარჯვენა“), ბატონმა თენგიზმა, სწორედაც რომ დაამშვენა თავისი სამსახიობო ოსტატობითა და გარეგნობით... ალარაფერს ვამბობ თენგიზ მუშკუდიანზე, როგორც ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელზე — ბრწყინვალე ბანის მქონე მომღერალზე, რომლის წარმატებების მოწმეა ყოფილი საბჭოთა კავშირის თუ ევროპის უდიდესი ქალაქების საოპერო ხელოვნების მრავალი მოყვარული... მათი ტაშისცემა, მათი აღტაცება თეატრისგარეთ გამოდიოდა, ხოლო პრესა, რადიო, ტელევიზია ქება-დიდებით ამკობდა ქართველ მომღერალს. ეს ყოველივე — მომღერლის გზა, სტუდენტობა, გამოსვლა დიდ სცენაზე, შეფასებები თენგიზ მუშკუდიანის, როგორც მომღერლის ოსტატობისა, შესანიშნავად არის გადმოცემული ცნობილი მუსიკათმცოდნის, ქალბატონ **ნანა ქავთარაძის** მონოგრაფიაში **„თენგიზ მუშკუდიანი“**, რომელიც ახლახან მიიღო მკითხველმა. დარწმუნებული ვართ, რომ შემოქმედებითი გზა სახელოვანი მომღერლისა, რომელიც ამ მონოგრაფიაშია ნაჩვენები, „არამუსიკალურ“ მკითხველსაც დიდად დააინტერესებს, რამეთუ ამის საფუძველია თენგიზ მუშკუდიანი — უნიკალური მომღერალი.




# „სიტყვა“ გადვაგდე ერშია...

**ცნობილი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე ნუგზარ წერეთელი მთელი ცხოვრება ქართულ სიტყვას მსახურებს და, რა გასაკვირია, რომ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავკაცს, საზოგადოების სახელით გამომავალი ჟურნალისთვის „სიტყვა“ დაერქმია (თვითონაა მთავარი რედაქტორი).** აი, ხელთა გვაქვს „სიტყვის“ ახლახან გამოცემული, ერთად შეკრული ორი ნომერი. ჟურნალი მრავალფეროვანია, მრავალ თემას მოიცავს, მაგრამ აქ მაინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები სჭარბობს და ის ლექსები, მოთხრობები, თარგმანები, მოგონებანი, რასაც „სიტყვა“ გვთავაზობს, კეთილად განაწყობს მკითხველს, რომელიც დღეს დიახაც ველარ აუდის უამრავ ჟურნალ-გაზეთში დახვავებულ უნიჭობას. „სიტყვა“ უთუოდ დააკმაყოფილებს მათ გემოვნებას.

# რეზო ჭეიშვილის გაზეთი

**წელიწადში ერთხელ, საქართველოში, მგონი, მხოლოდ რეზო ჭეიშვილის გაზეთი გამოდის — ამჯერად „ბაგრატი 2008“, რომელიც (28 გვერდი) რა გასაკვირია, სავსეა ერთიმეორეზე უკეთესი მასალებით. ეს მასალები, ანუ მთელი გაზეთი — პუბლიცისტიკა, მოგონებანი, ინტერვიუ... ზოგი ლექსისა და მოთხრობის გამოკლებით, თვითონ დიდი ქართველი მწერლის მადლიანი კალმის ნაჟურია და, ცხადია, ინტერესით იკითხება.**




რაც მთავარია, ეს მასალები ჩვენი ქვეყნის, მისი წარსულის, დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებს ეხება და კვლავაც წარმოაჩენს რეზო ჭეიშვილს — მამულიშვილს, დღევანდელი გაუსაძლისი მდგომარეობის შეურიგებელ მესიტყვეს...

გულდასაწყვეტი ისაა, რომ რეზო ჭეიშვილს არა აქვს იმის საშუალება, უფრო ხშირ-ხშირად ესაუბროს ამ გაზეთით თავის ხალხს... ვინ იცის, იქნებ ეს დროც დადგეს?... ღმერთმა ჰქნას!

ხსოვნა

# გაზაფხულის პირის სევდა

თითქოს ველოდით ამ დღეს — ბოლო ხანს ერთიანად დაჩაგრა ავადმყოფობამ ნუგზარ შატაიძე — გულქართლი კაცი, ნაღდი მწერალი...

ნუგზარმა ჟურნალისტიკით დაიწყო, სპორტული ჟურნალისტიკით... მუშაობდა გაზეთ „ლელოში“, ძირით ქართლელისთვის უცხო არ იყო ჭიდაობა და ისიც შესანიშნავ ჩანახატებს სთავაზობდა მკითხველებს ქართული ჭიდაობის ამაგდარ ადამიანებზე... მაგრამ, თურმე, მისი სტიქია ქართულ სიტყვასთან მთელი ნიჭით, მთელი გულით შებმა იყო და ნუგზარის მოთხრობებიც უკვე ხშირად გვხვდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში... იგი ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა ბრწყინვალე პროზაიკოსად. ერთხელ მეგობრულად შევეხუმრე, ქართლელი ინანიშვილი ხარ-მეთქი.



— კაი, თუ ძმა ხარ, მაშაყირებ?!. — გახსნა პირქუში სახე, თუმცა, შევატყვე, მადლიერი დამშორდა...

ბოლო ხანს მისი ნიჭი გამოვლინდა კინოდრამატურგიაში, ის კი არა, კინომსახიობადაც კი მოგვევლინა „ხარება და გოგიაში“, იგი იყო ჭეშმარიტი ოსტატი ქართული სიტყვისა და რაოდენ დასანანია, რომ წერამწერალმა მაინც თავისი ქნა, ასე ნაადრევად წაიყვანა ზეციურ საქართველოში.

ნათელი დაგადგეს, ძმაო, ნუგზარ!

**ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი**

№ 24. სამშაბათი, 10 თებერვალი, 2009 წელი.

# ქ. თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება №2-4

**6 თებერვალი 2009 წელი**
**09.02.2009წ.**
**240.120.1000.36.101.012.755**

## ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, “საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26[1] მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შემოღებულ იქნეს ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;
2. ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. თბილისის მთავრობას.
3. დამტკიცდეს “ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი“ (დანართი №1).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-32 გადაწყვეტილება “გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ“.
5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**ზაალ სამადაშვილი**

---

## დანართი №1
## ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი

### თავი I

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს დებულება შემუშავებულია “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესს.
2. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა აუქციონის ფორმით და მისი მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა მიანიჭოს იმ ნებართვის მაძიებელს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში ნებართვის გამცემს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.
3. ამ წესის შესაბამისად მიღებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფუძველზე სარეკლამო საშუალებების განთავსების საკითხები რეგულირდება მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.
4. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განსაზღვროს გარე რეკლამის საშუალებების განთავსების ადგილები.
5. ნებართვის მაძიებლად მიიჩნევა და აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ამ პირთა გაერთიანებას.
6. აუქციონზე გამოტანილი გარე რეკლამის განთავსების ნებართვა იყოფა ორ ლოტად:
ა) ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;
ბ) ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;
7. აუქციონი ტარდება და გამარჯვებული გამოვლინდება თითოეული ლოტის მიხედვით ცალ-ცალკე.
8. აუქციონზე ლოტის საწყისი ფასი განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ნებართვის მაძიებლის მიერ გარე რეკლამის განთავსებიდან მისაღები შემოსავლის პროცენტის სახით.
9. ამ მუხლი მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის პროცენტს აუქციონის გამოცხადებამდე ადგენს ქ. თბილისის მთავრობა (შემდგომში - ნებართვის გამცემი).
10. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განუსაზღვროს ნებართვის მფლობელს მესამე პირებთან ურთიერთობაში გარე რეკლამის საშუალების ერთ კვ. მეტრზე რეკლამის განთავსების საფასურის მინიმალური ოდენობა.
11. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განუსაზღვროს ნებართვის მფლობელს გარე რეკლამის საშუალებიდან შემოსავლის მიუღებლობის შემთხვევაში ნებართვის გამცემისათვის გადასახდელი საფასურის ოდენობა.
12. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურს ნებართვის მფლობელი იხდის სანებართვო პირობებით გათვალისწინებულ ვადაში და დადგენილი წესით.

**მუხლი 2. აუქციონის გამართვის უფლებამოსილი ორგანო**

1. აუქციონი ცხადდება და სანებართვო პირობები დგინდება ნებართვის გამცემის ინიციატივით.
2. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადას განსაზღვრავს ნებართვის გამცემი, მაგრამ არაუმეტეს 15 წლისა.
3. ნებართვის გამცემს შეუძლია აუქციონის ორგანიზატორის ფუნქციები შეასრულოს უშუალოდ, ან იმოქმედოს წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით, რომელსაც ნებართვის გამცემის მიერ მინიჭებული ექნება სათანადო უფლებამოსილება.
4. აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.

### თავი II
### აუქციონის ორგანიზება, მისი პირობები და ჩატარების წესი

**მუხლი 3. აუქციონის ორგანიზება**

1. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს ნებართვის გამცემი.
2. იმ შემთხვევაში, როცა ნებართვის გამცემი აუქციონის ორგანიზატორის ფუნქციებს გადასცემს წარმომადგენელს ან შუამავალს, მათ შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:
ა) ლოტის (ლოტების) საწყისი ფასი;
ბ) აუქციონის ჩატარების ვადა;
გ) წარმომადგენლის ან შუამავლისათვის ავანსის ან/და საკომისიო ანაზღაურების ოდენობა და მისი გაცემის წესი;
დ) ურთიერთვალდებულებანი და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის;
ე) სხვა ინფორმაცია ნებართვის გამცემის შეხედულებისამებრ.
3. ნებართვის გამცემი უზრუნველყოფს ადგილობრივ ბეჭვდით ორგანოში, აგრეთვე შეხედულებისამებრ სხვა საინფორმაციო საშუალებებში აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.
4. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია გადაავადოს აუქციონის ჩატარება რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
5. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) ნებართვის გამცემის დასახელებას;
ბ) პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;
გ) აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას (აღწერას), რომელზედაც გაიცემა გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;
დ) ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადას;
ე) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრების და აუქციონის ჩატარების თარიღს;
ვ) „ბეს“, ბიჯის სიდიდეს და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ნებართვის გამცემი;
ზ) განაცხადის მიღების ადგილს (მისამართი) და საკონტაქტო ტელეფონს;
თ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც ნებართვის გამცემი ჩათვლის მიზანშეწონილად.
6. ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს მიიღოს აუქციონზე გამოტანილი ლოტის შესახებ ნებართვის გამცემის ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული, ნებისმიერი ინფორმაცია.
7. ნებართვის გამცემი აუქციონის ორგანიზების მიზნით ქმნის საააუქციონო კომისიას, რომელშიც შედიან კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, კომისიის მდივანი და საააუქციონო კომისიის წევრები. აღნიშნული კომისია ნებართვის გამცემის სახელით ადგენს აუქციონში გამარჯვებულის დამადასტურებელ ოქმს.

**მუხლი 4. აუქციონში მონაწილეობის პირობები**

1. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.
2. აუქციონი ტარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით და ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
3. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:
ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას, იმ ლოტის საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს და მონაწილის თანხმობას ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი პირობების შესრულებაზე;
ბ) „ბეს“ და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და „ბეს“ საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე);
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
დ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. მონაწილემ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ლოტებზე მოწყობილ აუქციონში, „ბე“ და მონაწილის ბილეთის საფასური უნდა გადაიხადოს თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე.
5. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“, იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
6. მონაწილეს უფლება აქვს „ბეს“ დაუკავებლად უარი აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადოს მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.
7. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:
ა) განაცხადის წარმომდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს ნებართვის მაძიებლად;
ბ) დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

**მუხლი 5. აუქციონის ჩატარების წესი**

1. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.
2. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.
3. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.
4. ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს ლოტის დასახელებას, მის საწყის ფასს, ბიჯს (ბიჯის სიდიდეს ყოველი კონკრეტული ლოტისათვის განსაზღვრავს ნებართვის გამცემი).
5. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.
6. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ გარე რეკლამის ნებართვა ითვლება გაცემულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.
7. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი. ოქმს ხელს აწერს ნებართვის მფლობელი და საააუქციონო კომისიის თავმჯდომარე როგორც ნებართვის გამცემი.

იხ. 12 გვ.

# ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარერეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი

(მეთერთმეტე გვერდიდან)

8. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

9. თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდებათ.

10. სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი „ბე“-ს ოდენობა. მოხსენებით ბარათს ხელს აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

**მუხლი 6. აუქციონის ჩატარების წესი, სადაც შესაძლებელია შეთავაზებული იქნეს გამოცხადებულზე დაბალი ფასი**

1. თუ არ მოხდა ზედიზედ 5-ჯერ აუქციონზე გამოტანილი ლოტის გაცემა ან აუქციონის პროცესი 1 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, გარერეკლამის განთავსების ნებართვა შეიძლება გატანილ იქნეს აუქციონზე, სადაც შესაძლებელი იქნება შეთავაზებულ იქნეს გამოცხადებულზე დაბალი ფასი.

2. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

3. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

4. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

5. ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას, მის საწყის ფასს, მინიმალური გასაყიდი ფასის ოდენობას (რომელიც წინასწარ არის დადგენილი ნებართვის გამცემის მიერ) ბიჯს (ბიჯის სიდიდეს ყოველი კონკრეტული ლოტისათვის განსაზღვრავს ნებართვის გამცემი).

6. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის და მინიმალური გასაყიდი ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

7. აუქციონში მონაწილეს, რომელსაც სურს შეისყიდოს საწყის ფასად ლოტი, სწევს მონაწილის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებასაც), ხოლო თუ არცერთი მონაწილის მიერ არ იქნა აწეული მონაწილის დაფა, აუქციონატორი საწყის გასაყიდ ფასს აკლებს დადგენილი ბიჯის ოდენობას და აცხადებს კლებადობის შესაბამისად გასაყიდ ფასს. ბიჯის კლებადობა გრძელდება მანამ, სანამ ერთ-ერთი მონაწილის მიერ არ იქნება მონაწილის დაფა აწეული ან გასაყიდი ფასი არ დავა მინიმალური გასაყიდი ფასის ოდენობამდე.

8. იმ შემთხვევაში, თუ ბიჯის კლებადობის დროს ერთ-ერთი მონაწილის მიერ აწეული იქნა მონაწილის დაფა (რაც ნიშნავს გამოცხადებულ ფასზე ბიჯის დამატებასაც), აუქციონატორი აფიქსირებს მას, როგორც გასაყიდ ფასს და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადების და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ აუქციონზე გამოტანილი ლოტი ითვლება გაყიდულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც ყველაზე მაღალი ფასი დაასახელა.

9. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი. ოქმს ხელს აწერს ნებართვის მფლობელი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე როგორც ნებართვის გამცემი.

10. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

11. თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდებათ.

12. სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი “ბე“-ს ოდენობა. მოხსენებით ბარათს ხელს აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

## თავი III

## ოქმის გაფორმების წესი. კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე და ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა

**მუხლი 7. ოქმის გაფორმების წესი**

1. ოქმი უნდა შეიცავდეს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ სანებართვო პირობებს, საფასურის გადახდის ვადებს და ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. აუქციონში გამარჯვებულ პირს “ბე“ ეთვლება ანგარიშწორებისას.

3. გარერეკლამის განთავსების ნებართვა დადგენილი სანებართვო ფორმის სახით ნებართვის გამცემის მიერ ნებართვის მფლობელს გადაეცემა ოქმის ხელმოწერის მომენტისთანავე, ხოლო სანებართვო ფორმის მეორე ეგზემპლარი რჩება ნებართვის გამცემს.

**მუხლი 8. კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე და ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა**

1. კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე ნებართვის გამცემის მიერ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გარერეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

სს „კრედიტინფო საქართველო“ აცნობებს მის აქციონერებს, რომ ამა წლის 24 თებერვალს შედგება აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: თბილისი, ჯანაშიას, 16.

სს „კრედიტინფო საქართველოს“ დირექცია

სსიპ „საწარმოთა მართვის“ სააგენტო აცხადებს:

2008 წლის 30 დეკემბრიდან სს „საქენერგოგაწყობასთან შპს „სათბოენერგოინფორმატიკის“, სს „ელექტრომომარგების“, შპს „სატრენაჟორო სასწავლო ცენტრის“, შპს „ინფორმელექტროსა“ და შპს „სისტემის“ შერწყმას.

### ინფორმაცია

## დავიცვათ ვაჩნაძიანთ მუზეუმი

**ვაჩნაძიანთკარის ისტორიულ მუზეუმში არსებული ექსპონატები, რომელიც იქ მუზეუმის გაძარცვის შემდეგ კიდევ შემორჩა, კვლავ დაუცველია. ამის შესახებ ინფორმაციას „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს.**

**კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სპეციალისტი, ისტორიკოსი თამაზ მარკოზაშვილი „კახეთის საინფორმაციო ცენტრთან“ საუბრისას მიიჩნევს, რომ ვაჩნაძიანის სოფლის ისტორიის მუზეუმში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ, მეოთხედ გაიძარცვა, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი დიდი მნიშვნელობის მქონე ნივთები.**

**— საშიშროება იმისა, რომ მუზეუმიდან ანტიკვარული იარაღის გატანის შემდეგ, მძარცველები წერილობითი ძეგლების გატანითაც დაინტერესდნენ, დიდია, — აცხადებს მარკოზაშვილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

### ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის წლევანდელი ეტაპი აღმაშფოთებელი ფაქტით გაიხსნა — ზუგდიდისკენ მიმავალი მსაჯთა ბრიგადა და სფფ-ს დელეგატი, გამოჩენილი ფეხბურთელი თამაზ კოსტავა სოფელ ორჭოსანთან ქართულად მოსაუბრე, სავარაუდოდ შეიარაღებულ ოს გარეწართა ბანდამ დაატყვევა და სამაჩაბლოს გზას გაუყენა.**

მართალია, საბოლოოდ მათ მხოლოდ კოსტავას მანქანა და მთავარი არბიტრი, ყვარლელი მალხაზ ბეუქლიშვილი დაიტოვეს, მაგრამ ეუთოს დამკვირვებელთა პირით სოლიდური გამოსასყიდი შემოთვალეს. გაუჭირდებათ თუ ვინმე შეუშლით ხელს სათარეშოდ — ვარდოსანთა ხელისუფლების სახით ხომ ერთგული მოკავშირე ჰყავთ...

**რაც შეეხება განახლებული გათამაშების XVIII ტურის მატჩებს, ისინი ასეთი შედეგებით დასრულდა:**

მგლები — ზესტაფონი 0:1 (გელაშვილი), სიონი — ცხინვალი 0:0, ვიტ ჯორჯია — მესხეთი 1:0 (ლიპარტია), ბორჯომი — ოლიმპი 1:2 (პავლიაშვილი; ჩხეტიანი, ჩიკვილაძე), გაგრა — ლოკომოტივი 0:0. ისვენებდა თბილისის დინამო.



**სატურნირო მდგომარეობა:** ვიტ ჯორჯია — 40, დინამო — 31, ოლიმპი — 28, ზესტაფონი — 27, სიონი — 25, ლოკომოტივი — 23, მგლები — 18, მესხეთი, გაგრა — 16-16, ბორჯომი — 11, ცხინვალი — 8 ქულა.

**შემდეგი ტური:** ლოკომოტივი — ცხინვალი, ოლიმპი — გაგრა (14 თებერვალი), დინამო — სიონი, მესხეთი — მგლები, ზესტაფონი — ბორჯომი (15 თებერვალი). ისვენებს ვიტ ჯორჯია.

* * *

**იტალია. XXIII ტური.** ლეჩე — ინტერი 0:3, კატანია — იუვენტუსი 1:2, მილანი — რეჯინა 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ინტერი — 53, იუვენტუსი — 46, მილანი — 45 ქულა.

**ბომბარდირი:** დი ვაიო (ბოლონია) — 15 გოლი.

**შემდეგი ტური:** ინტერი — მილანი, იუვენტუსი — სამპდორია.

**ესპანეთი. XXII ტური.** ბარსელონა — ხიხონი 3:1, რეალი — რასინგი 1:0, სევილია — ბეტისი 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** ბარსელონა — 57, რეალი — 45, სევილია — 38 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო (ბარსელონა) — 21 გოლი.

**შემდეგი ტური:** ბეტისი — ბარსელონა, ხიხონი — რეალი, ესპანიოლი — სევილია.

**ინგლისი. XXV ტური.** ვესტ ჰემი — მანჩესტერი 0:1, პორტსმუთი — ლივერპული 2:3, ბლექბერნი — ასტონ ვილა 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** მანჩესტერი — 56 (24 თამაშიდან), ლივერპული — 54, ასტონ ვილა — 51 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა (ჩელსი) — 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** მანჩესტერი — ბლექბერნი, ლივერპული — სიტი, ასტონ ვილა — ჩელსი.

**გერმანია. XIX ტური.** გლადბახი — ჰოფენჰაიმი 1:1, ბაიერნი — ბორუსია 3:1, ბილეფელდი — ჰერტა 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ჰოფენჰაიმი — 39, ბაიერნი — 38, ჰერტა — 37 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი) — 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** ჰოფენჰაიმი — ლევერკუზენი, ჰერტა — ბაიერნი.

**საფრანგეთი. XXIII ტური.** ნიცა — ლიონი 1:3, მარსელი — ბორდო 1:0, ნანტი — პარი სენ-ჟერმენი 1:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** ლიონი — 46, ბორდო, პარი სენ-ჟერმენი — 42-42 ქულა.

**ჰოლანდია. XXII ტური.** ალკმაარი — ტილბურგი 3:1, გრააფსხაფი — ტვენტე 2:2, ვიტესი — აიაქსი 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ალკმაარი — 56, ტვენტე — 45, აიაქსი — 42 ქულა.

### რაგბი

# ბორჯღალოსნები იწყებენ და იგებენ



**2009 წლის ევროპის ერთა თასის გათამაშებამ შარშან დეკემბერში აიღო სტარტი, თუმცა ბორჯღალოსნები შეჯიბრებაში მხოლოდ გასულ უქმეებზე ჩაებნენ: ჰაიდელბერგში გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ ალემანებთან. მეტოქეები რამდენიმე წლის წინათაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.** მაშინ ქართველმა მორაგბეებმა სძლიეს გერმანელებს. მასპინძლები რევანშის წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე და მე-14 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. ეს იყო ამ მატჩში მათი პირველი და ბოლო წარმატება, რადგან სტუმრები მალევე მოეგნენ გონს და მეტოქე 38:5 დაამარცხეს.

კვირას ტურის კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. რუსებმა სტუმრად პორტუგალიელებს სძლიეს 18:14, ხოლო ესპანელები შინ რუმინელებთან დამარცხდნენ — 10:19. 14 თებერვალს ბორჯღალოსნები პორტუგალიელებს შეხვდებიან.

* * *

**გასულ უქმეებზე სტარტი აიღო მორაგბეთა ექვსი ერის თასის წლევანდელმა გათამაშებამ. გაუწყებთ პირველი ტურის შეხვედრათა შედეგებს: ინგლისი — იტალია 36:11, ირლანდია — საფრანგეთი 30:21, შოტლანდია — უელსი 13:26.**

ჭიდაობა

# ახალგაზრდები კვარცხლბეკს გაუშინაურდნენ

**ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ტიტულოვანი ფალავნები არ გამოდიოდნენ.** გულშემატკივრებმა იციან, რომ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ რამაზ ნოზაძემ (96) და ბადრი ხასაიამ (84) კიევში მკერდის კუნთის რთული ოპერაციები გაიკეთეს. ამჟამად ისინი სარეაბილიტაციო პერიოდს გადიან, თუმცა არასრული დატვირთვით ფიზიკურად ვარჯიშობენ. ოლიმპიურ ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას (74) მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს. მსოფლიოს ჩემპიონი დავით ბედინაძე (60) ამას წინათ დაქორწინდა და თაფლობის თვეს იხანგრძლივებს. პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ლაშა გოგიტაძე (55), შმაგი გულიაშვილი (74) და ლადო გეგეშიძე (84) ტრავმებს იშუშებენ.



უფავორიტებოდ დარჩენილი ჩემპიონატი უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გულშემატკივრებმა დილმის ხალიჩაზე უშეღავათო პაექრობები და ელვისებური ფანდები იხილეს. განსაკუთრებით ახალგაზრდებმა ისახელეს თავი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს შარშანდელ ჩემპიონთაგან მხოლოდ რევაზ ჭელიძემ შეინარჩუნა ტიტული. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეტწილად დებიუტანტები ავიდნენ. სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა 17 წლის ქემალ ხარაბაძემ (55), რომელმაც იოლად სძლია მეტოქეებს და ოქროს მედალი ხვდა. თვალსასეირო გამოდგა დავით ქარჩავას და აკაკი ჯოხაძის ორთაბრძოლა. სამრაუნდიანი პაექრობის შემდეგ ჩემპიონი ქარჩავა გახდა.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გვითხრა, რომ ეროვნული გუნდის კანდიდატებისთვის თბილისში საწვრთნელი შეკრება 12 თებერვალს დაიწყება. თვის მიწურულს ჩვენი „კლასიკოსები“ ბუდაპეშტს გაემგზავრებიან „ოქროს გრანპრიზე“ საასპარეზოდ. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვეთება ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც აპრილში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ქემალ ხარაბაძე, 2 გიორგი გვენეტაძე (ორივე – აჭარა), 3. თორნიკე ტოტიკაშვილი (გარდაბანი) და ზურაბ კეკელიძე (აჭარა).

**60 კგ.** 1. უჩა შავაძე (აჭარა), 2. პაატა ბიწაძე (თბილისი), 3. რევაზ ლაშხი (ბორჯომი) და საჩინო დავითაია (სენაკი).

**66 კგ.** 1. ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი), 2. მანუჩარ ცხადაია (ხობი), 3. ტარიელ ებრალიძე (თბილისი) და პაატა ბაკურიძე (აჭარა).

**74 კგ.** 1. გენადი გოგიშვილი (თბილისი), 2. მამუკა ხიმშიაშვილი, 3. ზაზა შავაძე (ორივე – აჭარა) და დავით კობერიძე (თბილისი).

**84 კგ.** 1. დავით ქარჩავა (თბილისი), 2. აკაკი ჯოხაძე (გარდაბანი), 3. დავით უბირია (აფხაზეთი) და ალუდა ხუნჯუა (ხობი).

**96 კგ.** 1. ალეკო ბურდილაძე (რუსთავი), 2. სერგო ნინუა (ქუთაისი), 3. ვლადიმერ ქარჩავა (ოზურგეთი) და მიხეილ ქაჯაია (წყალტუბო).

**120 კგ.** 1. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი), 2. გურამ ფერსელიძე (აჭარა), 3. დავით ჯიმშელეიშვილი (წყალტუბო) და დიმიტრი ჯავახიშვილი (გარდაბანი).

**ლექსო ცინცაძე**
**ავტორის ფოტო.**

ძიუდო

# მხოლოდ ერთი „ვერცხლი“



**გასულ უქმეებზე პარიზმა ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში გუნდები უძლიერესი შემადგენლობით მონაწილეობდნენ.** ქართველთაგან მხოლოდ ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) იყოჩაღა – ფინალამდე ყველა მეტოქეს სძლია, გადამწყვეტი პაექრობა კი ფრანგ დიმიტრი დრაგინთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. თბილისის მსოფლიოს თასის გამარჯვებული 19 წლის ვარლამ ლიპარტელიანი მეოთხედფინალში იაპონელ ტაკაში ონოსთან მხოლოდ ჰანტეით (მსაჯების გადაწყვეტილებით) დამარცხდა, რადგან ძირითადი და დამატებითი დრო უშედეგოდ დამთავრდა. არბიტრებმა უფრო აქტიურად იაპონელი მიიჩნიეს.

ტატამზე არ გამოსულან ზაზა კედელაშვილი, ირაკლი ცირეკიძე და ლაშა გუჯეჯიანი. ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

წყალხტომა

# თამარის ჰოლანდიური დუბლი

**საქართველოს ახალგაზრდა წყალმხტომელებმა წარმატებით იასპარეზეს ეინდჰოვენის საერთაშორისო ტურნირზე.** ირაკლი ბართაიას ხელმძღვანელობით ჩვენმა სპორტსმენებმა ორ-ორი ოქრო-ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა 10 წლის თამარ სიჭინავა. იგი 14-წლიანებში მონაწილეობდა და ოთხი წლით უფროსებს სამმეტრიანი ტრამპლინიდან და ხუთმეტრიანი კოშკურიდან ხტომებში აჯობა. თექვსმეტწლიანებში ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურა აკაკი ივანიშვილმა. ამავე ასაკში „ბრინჯაო“ 14 წლის ალექსანდრე გუჯაბიძეს ხვდა.



მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფლის“ სტარტი მანეჟში



**დიდუბის მანეჟში დამთავრდა თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ქუთაისის, ვანის, ჭიათურის, ბორჯომის, ახმეტის, ფოთის, ზუგდიდის, ახალციხისა და თიანეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სეზონის სასტარტო შეჯიბრებაში სპორტსმენებს მაღალი შედეგები არ უჩვენებიათ, თუმცა რამდენიმე ატლეტმა მაინც მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება.**



ორდღიანი პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: სალომე აბშილავა და გიორგი ღლონტი (60 მ. რბენა), ლიკა ლოლუა და დენის ჟვანია (300 მ.), თინათინ პაპუაშვილი და ენდრიკ ზილბერშტეინი (400 და 800 მ.), ჯეირან ხოფერია და ნესტან ირემაძე (3000 მ.), სალომე რიგიშვილი და ბენიკ აბრამიანი (ბირთვი), ვახტანგ ჯინჭველაშვილი (სამხტომი), მაია გოგოლაძე და ვასილ ელანაიძე (სიგრძეზე ხტომა).

საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი დიდუბის მანეჟში 26-27 თებერვალს გაიმართება.

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე პრიზიორებს აჯილდოებს.**

კალათბურთი

# ბედმა სასოფლოს გაუღიმა

**სუპერლიგის XI ტურში კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი რუსთავის ენერჯი ინვესტი ისვენებდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის წამყვანი პოზიცია შეენარჩუნებინა.**

რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, მათგან ყველაზე საინტერესოდ მოვლენები სასოფლოსა და თსუ-ს დუელში განვითარდა. მძაფრ ბრძოლაში 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო სარბიელი ვადამდე ერთბაშად ხუთმა მოთამაშემ დატოვა, ბედმა კი მიხეილ კობეშავიძის გუნდს გაუღიმა – 81:74. **ყველაზე შედეგიანები:** მარხვაშვილი – 19, წივწივაძე – 18, გულისაბედაშვილი – 12, ტყეშელაშვილი – 10 ქულა (სასოფლო); ხეცურიანი – 19, ახალკაცი – 14, ფანჩულიძე – 12, მარკოიშვილი – 10 ქულა (თსუ).



**დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** დინამო – მაქაბი 88:52. **ყველაზე შედეგიანები:** სორდია – 19, დოლიძე – 15, ხიზანიშვილი, ბოლქვაძე – 11-11 ქულა (დინამო); ანთაძე – 17, ჯანგველაძე – 11, სუდაძე – 10 ქულა (მაქაბი). ნტდ – შსს 119:81. **ყველაზე შედეგიანები:** ჩიტაშვილი – 26, ფაშაევი – 18, ბახშიევი – 17, ათუაშვილი, ნეფტალიევი – 12-12 (ნტდ); შენგელია – 22, გოლეთიანი – 17, ნინუა – 13, ნოზაძე – 11 ქულა (შსს). ბათუმი – ავიამშენი 90:114.

**15 თებერვალს ითამაშებენ:** შსს – ენერჯი ინვესტი, მაქაბი – ბათუმი, თსუ – ავიამშენი, დინამო – სასოფლო. ისვენებს ნტდ.

ზამთრის ფესტივალი



# პოლონეთის თოვლიან ბილიკებზე...

**პოლონეთის საკურორტო ქალაქ სლასკ-ბესკიდში 15-21 თებერვალს ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება.** საქართველოს სპორტსმენები ორ სახეობაში გამოცდიან ძალებს. ბიატლონში იასპარეზებენ ანჟელა ბადური და მიხეილ ავაქიანი (მწვრთნელები – ალექსანდრე და ნიკოლოზ ბუძიშვილები), ხოლო სამთო თხილამურებში ევროპელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან ნატაშა გავა, ირაკლი კიკნაძე, ნინო წიკლაური, დიმიტრი გედევანიშვილი, ჯაბა გელაშვილი და გიორგი გელაშვილი (მწვრთნელები – გიორგი გელაშვილი და გრიგოლ ასლანიანი). მისიის ხელმძღვანელია სეოკის ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ გეგელია, ადმინისტრატორი – გიორგი ესაკია.

საგულისხმოა, რომ საქართველოს გუნდის შემადგენლობაში გამოდის 15 წლის ნინო წიკლაური, რომელსაც 2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია უკვე მოპოვებული აქვს. რაც შეეხება დიმიტრი გედევანიშვილს, იგი ცნობილი მოციგურავის – ელენე გედევანიშვილის ძმაა. სხვათა შორის, ელენემ მსგავს შეჯიბრებაზე 2005 წელს შვეიცარიაში მე-7 ადგილი დაიკავა. საუკეთესო შედეგი კი 12 წლის წინათ ვახტანგ მურვანიძემ (ფიგურული ციგურაობა) აჩვენა – 1997 წელს სუნდსვალში (შვედეთი) მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. პოლონეთში საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის ორიენტირად სწორედ ეს სიმაღლე იქნება და, იმედია, მის გაუმჯობესებას შეეცდებიან.

# ფრთხილად, B ჰეპატიტი არ შემოგეპაროთ!



**ჰეპატიტს** B შემთხვევით კი არ უწოდეს ჩუმი მკვლელი, ორგანიზმში რომ დაბუდებულა. ვერაგი ვირუსი, ღვიძლს რომ ანგრევს, თავიდან თავს არაფრით არ ამჟღავნებს.

როგორც წესი, მისი პირველი სიმპტომები ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ქრონიკულ ფორმას ღებულობს და მისი განკურნება უძნელესია, მაგრამ მისი განვითარების შეჩერება შეიძლება. სწორედ ამას მიეძღვნა ამას წინათ საერთაშორისო კონგრესი.

თუ როდისმე გიფიქრიათ, თუ რა როლს ასრულებს ჩვენს ორგანიზმში ღვიძლი, ასე რომ უტევს ავი ვირუსი. რაც მთავარია, ღვიძლი ფილტრია, რომელშიც გადის და სუფთავდება ჩვენი სხეულის მთელი სისხლი, თანაც თავისებური ფაბრიკაა, რომელიც გადაამუშავებს ჩვენი სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელ უამრავ პროდუქტსა და ნივთიერებას.



როდესაც ღვიძლში „ბინას იდებს" B ჰეპატიტის ვირუსი (HBVძ, ეს გამართული მექანიზმი იშლება.

არსებობს B ჰეპატიტის ორი სახეობა – მწვავე და ქრონიკული. მწვავე ფორმა პრაქტიკულად გართულების გარეშე მიმდინარეობს და უმეტეს შემთხვევაში თვითნებურად მთავრდება. მაგრამ თუ ვირუსი ორგანიზმში 6 თვეზე მეტ ხანს რჩება, ინფექცია ქრონიკულ ფორმას ღებულობს. რამაც, შესაძლოა, მიგვიყვანოს ისეთ მძიმე ფორმებამდე, როგორიცაა ციროზი და ღვიძლის კიბო.

დადგენილია, რომ B ჰეპატიტის ვირუსი 100-ჯერ უფრო გადამდებია, ვიდრე შიდსი.

როგორ ვრცელდება ის? პირველ რიგში დაავადებულის სისხლთან ან ორგანზმის სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით. სისხლის გარდა ვირუსი შეიძლება იყოს სპერმაში, ვაგინალურ გამონაჟონებში, ოფლში, ცრემლებშიც კი. რაც ადვილად ხვდება სხვა ორგანიზმში. აქტუალურია დაუცველი სექსის დროსაც, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნივთებით მისი გადადება – არ იხმაროთ სხვისი კბილის ჯაგრისი, საპარსი, მანიკურის მოწყობილობანი. ინფექციის წყარო, შეიძლება, იყოს ყურის გასახვრეტი „პისტოლეტებიც", ისინი ხომ ცუდად დეზინფიცირდება. იმავე სერიისაა ახლა მოდურად ქცეული პირსინგები და ტატუირება. ეგრეთ წოდებული „ნაკოლკის" გაკეთების დროს დაავადება ძალზე ადვილია.

რასაკვირველია, B ჰეპატიტის ვირუსის განკურნება უძნელესია, მაგრამ დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში, სპეციალისტების მტკიცებით, შეუძლებელი არაფერია.

**ახლა კი ცოტა რამ ციფრებსა და ფაქტებში:**

- **ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტი უკვე ინფიცირებულია B ჰეპატიტის ვირუსით. საიდანაც 350 მილიონს ქრონიკული დაავადება აქვს.**
- **მოზრდილების დაახლოებით 10 პროცენტში ის გადაზრდილია ქრონიკულ ფორმაში.**
- **ღვიძლის კიბოს 80 პროცენტში „დამნაშავე" ქრონიკული B ჰეპატიტია.**
- **ადამიანთა გარდაცვალების სხვა წამყვან მიზეზებს შორის ქრონიკული ჰეპატიტი მე-10 ადგილზეა მსოფლიოში. ღვიძლის ციროზითა და ღვიძლის კიბოთი მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 1,2 მილიონი ადამიანი იღუპება.**

# გული – ციფრებსა და ფაქტებში

- ყოველდღიურად 1200 ვედროზე მეტ სისხლს გადაქაჩავს გული ჩვენს სხეულში.
- გულის მარჯვენა ნახევარი სისხლს ქაჩავს მთელი სხეულის კიდურებამდე, სისხ-ძარღვებში. მარცხენა ნაწილი კი – ფილტვების გავლით სისხლის ჟანგბადით გასაძლიერებლად. სწორედ ამის გამო გულის მარჯვენა ნაწილი უფრო სქელი და ძლიერია.



- ადამიანის გული იწონის 220-260 გრამს.
- თუკი დაიკლებთ ზედმეტი წონის 10 პროცენტს, თქვენ ამცირებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა აღმოცენების ალბათობას 10 პროცენტით.
- გულის დაავადებანი ქალებს საშუალოდ 10 წლით უფრო გვიან უჩნდებათ, ვიდრე მამაკაცებს.
- ერთი მესამედით ამცირებს გულის შეტევის რისკს დიეტა, რომელიც ძირითადად ხილისა და ბოსტნეულისგან შედგება.
- კვირაში 3 ორგაზმი ორჯერ აქვეითებს იშემიური დაავადებისგან სიკვდილის რისკს.
- საყვარელ ადამიანთან განშორებას და ახლობლების სიკვდილს ნამდვილად შეუძლია ჩვენი გულის გახეთქვა. ასეთ ფსიქოლოგიურ ტრავმას შეუძლია სისხლში იმ ჰორმონების შეტყორცნა, რომლებიც დროებით „აყრუებენ" გულს და იწვევენ გულის შეტევის მსგავს სიმპტომებს.
- შვიდჯერ მეტად ემართებათ გულის დაავადებანი იმ ადამიანებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მეტოქეობისადმი, მტრობისადმი მიდრეკილება, მუდამ განიცდიან დროის ნაკლებობას, დაძაბულობას, დაბალი აქვთ თვითშეფასება.
- 2-3-ჯერ მაღალია გულის შეტევის რისკი იმათთვის, ვინც ეწევა, არამწეველებთან შედარებით.
- ყოველ 34 წამში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით დედამიწაზე კვდება ერთი კაცი.

## მზის ვიტამინი – ტვინისთვის



**გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ყველასთვის ცნობილ D ვიტამინს, რაქიტისა და ოსტეოქონდროზის მკურნალობის შეუცვლელ საშუალებამდე რომ ითვლება, შეუძლია, აღკვეთოს სიბერის ჭკუასუსტობა. ის აუმჯობესებს ადამიანის ორგანიზმში კალციუმის ათვისებასა და ძვლების ქსოვილამდე მის მიტანას.**

ბავშვებისთვის ის აუცილებელია ჯანმრთელი ჩონჩხის ფორმირებისთვის, ხოლო თუ ამ ვიტამინს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მივიღებთ, ეს დაეხმარება ტვინს სიბერეშიც მუშაობაში. მზის ვიტამინს შეიცავს კვერცხი და თევზის ქონი.

თუმცა სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ აკურატულები უნდა ვიყოთ ამ პრეპარატთან – მისმა გადაჭარბებით მიღებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს უმძიმესი მოწამვლა.

## მოაშორეთ მობილურები ბავშვებს!




**ჩვენც და მსოფლიო პრესაც ამაზე მრავალგზის ვწერდით და აი, ფინელი სპეციალისტები ერთხელ კიდევ აფრთხილებენ მშობლებს: არ უყიდონ ბავშვებს მობილური ტელეფონები, რადგან ისინი ნეგატიურად მოქმედებენ მათ მზარდ ორგანიზმზე.**

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ბავშვების ჯანმრთელობაზე მობილურების ზემოქმედების ეფექტი თავს იჩენს 10 წლის შემდეგ. ახლა კი მკვლევარები მოუწოდებენ მშობლებს, გზა გადაუღობონ ბავშვებს მობილური ტელეფონებისკენ, დაიცვან ისინი მათი მავნე გამოსხივებისგან, არ მისცენ მათი გამოყენების უფლება ცუდი კავშირის რაიონებში, ავტომანქანებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

## ალკოჰოლი ცარიელ კუჭზე მავნებელია



**ეს განსაკუთრებით დიაბეტიანებს ეხება: ალკოჰოლური სასმელის დალევა უზმოზე სიცოცხლისათვის სახიფათოა.** შვედი მეცნიერების გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ მიღებული ალკოჰოლი დაახლოებით ოთხჯერ ზრდის ინსულინის გამოყოფას. ამის გამო ადამიანს უჩქარდება გულისცემა, უჭირს აზროვნება და, შესაძლოა, ჩავარდეს აგრესიულ მდგომარეობაში. განსაკუთრებით დიდია რისკი დიაბეტიანებისთვის, ვინაიდან სისხლში შაქრის მკვეთრი ცვალებადობა მათთვის უდიდესი დატვირთვა და ორგანიზმის სტრესია.

## თუ მშრალად ახველებთ

**შემოგთავაზებთ ორ ძალზე გემრიელ რეცეპტს:**

რძეში მოხარშეთ გათლილი კარტოფილი. პიურე ღამით ჭამეთ. ან ნივრის კბილი გახეხეთ კარაქთან ერთად, წაუსვით პურს და მიირთვით. ორივე დაგეხმარებათ ნახველის ამოღებაში.

## გახდომა – საზღვარგარეთულად

**მთელს მსოფლიოში გახდომის ყველაზე პოპულარულ საშუალებად დიეტა მიაჩნიათ. ასე თვლის დედამიწის მოსახლეობის თითქმის 78 პროცენტი. თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში დიეტა სულ სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ. მაგალითად, გასახ-**



**დომად „განწირული" ევროპელები და ამერიკელები ითვლიან კალორიებსა და ენერგიის ხარჯვას.** ცილების, ცხიმებისა და ნახშირბადების შეფარდებას. აზიის ქვეყნებში მსუქნებიც დიეტას არჩევენ, მაგრამ თავისებურად – ჭამენ ყველაფერს. მაგრამ ცოტას, რაც მთავარია, იქ დიეტას გონივრულად უხამებენ ფიზიკურ აქტივობას. თანაც ისინი დიეტას სულ სხვანაირად აწყობენ, ვიდრე ევროპელები. დასავლეთში ზღუდავენ ცხიმიანი და კალორიული საკვების მიღებას, აღმოსავლეთში კი პირიქით, ტოვებენ ძველ რაციონს, ოღონდ ჭამენ ნაკლებს.

ჩრდილო ამერიკაში ფიზიკურ კულტურას ამჯობინებენ დიეტას. აშშ-ელი რესპონდენტების 70 პროცენტი აცხადებს, რომ რეგულარულადაა ჩართული სპორტში. ცხოვრების აქტიურ ფორმას მისდევს დასავლეთ ევროპაში გამოკითხულთა უმრავლესობა – ისინი ძალზე ხშირად დასეირნობენ ფეხით და დადიან სატრენაჟერო დარბაზებში. საერთოდ, მსოფლიოს მოსახლეობის 38 პროცენტი აცხადებს, რომ სისტემატურად დადის ფეხით, ხოლო სპორტს მისდევს საშუალოდ 10 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ გახდომის მოსურნე უამრავი ადამიანი, დიეტისა და ფიზიკური ვარჯიშის ნაცვლად, ან მათთან ერთად, სპეციალურ აბებსაც ღებულობს და როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მათი წარმოება თანდათან იზრდება. თუმცა იგივე სპეციალისტები გვაფრთხილებენ: „გახდომის საშუალებათა პოპულარობა უშუალო დამოკიდებულებაშია ჩვენი თანამოქალაქეების დაბალ კულტურასთან. საბოლოოდ ადამიანი კი კარგავს წონას, მაგრამ იძენს თავის ტკივილებს, კუჭის აშლილობას. შინაგანი ორგანოების დაავადებებს, ხშირ ნერვულ მოშლილობასაც!"

## ტელევიზორი – შემოქმედებითი უნარის მტერი?

**პირველ რიგში ტელევიზორზე „მიჯაჭვული" პატარა ბავშვები იგულისხმება. როგორც არგენტინელი ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, ტელევიზორის ყურებით პატარების ზედმეტ გატაცებას მათში შემოქმედებითი უნარის დაქვეითებასთან მივყავართ. არა მარტო არგენტინაში, ჩვენშიც ბევრ მშობელს თავისი პატარებისთვის ტელევიზორი თავისებურ „ძიძად" მიაჩნია, რომელიც ბავშვებზე ჰიპნოზივით მოქმედებს. რის შედეგად ბავშვი თვალმოუშორებლად შესცქერის ეკრანს და მშობლებს აღარ აწუხებს.**

თუმცა ასეთ მიდგომაში დიდი საშიშროება იფარება, – მიაჩნიათ სწავლულებს. „ეს ბავშვებს უკარგავს შემოქმედებითი აზროვნების უნარს, ეს შემდეგ გამოჩნდება წერითი და ზეპირი ფორმით მათ მსჯელობაში".



სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ტელევიზორისადმი მიდრეკილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს სხვა უფრო მძიმე შედეგებიც. მაგალითად, ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება.

არგენტინელი სწავლულები გვირჩევენ, უარი ვთქვათ ასეთი „ძიძის" დათვურ სამსახურზე, გაცილებით მეტი ვესაუბროთ პატარებს, რადგან ეს განავითარებს მათ ტვინს და აუმჯობესებს სწავლისადმი ბავშვის შესაძლებლობებს.

**უცხოური პრესის მიხედვით
მოამზადა ვალიკო სიმონიშვილმა**

სანთელი

# ნუგზარ შატაიძე — გამორჩეული შემოქმედი



მწუხრით სავსე დღე გამითენდა, დღე ღრუბლიანი და მოწყენილი.

რა ვქნა, ვიტირო? თუ სვანური ზარი ვთქვა? ნუგზარისთვის ხშირად მითქვამს, ნუგზარ, თუ დაჰკვირვებიხარ, როგორ ჰგვანან ერთმანეთს ქართული ტირილი და ქართული სიმღერა-მეთქი... მერე, როცა შემხვდებოდა, აუცილებლად შემახსენებდა, მართლა როგორ ჰგავს ქართული ტირილი ქართულ სიმღერასო, ნუგზარ შატაიძის ბრწყინვალე მოთხრობები პირველად მე დავბეჭდე ჟურნალ „ცისკარში“ და ერთი რამ განსაკუთრებით მიხაროდა, მიხაროდა, რომ კვლავაც გამოჩნდა ახალგაზრდა შემოქმედი, რომელიც გურამ რჩეულიშვილის გზას დაადგა.

ნუგზარი იყო შემოქმედი, რომელმაც ფასი იცოდა ნიჭიერი კაცისა, ხაროზდა, როცა წარმოჩნდებოდა ახალი თაობის ახალი შემოქმედი.

ნუგზარის პროზა სავსე იყო პოეტური ბრწყინვალებით.

ისიც უნდა ვთქვა, რომ წუთისოფელს გაშორდა ღირსეული მამულიშვილი და გამორჩეული პიროვნება.

დიახ, დიახ, მართლა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ქართული ტირილი და ქართული სიმღერა.

ცრემლით გიგონებ, ჩემო ნუგზარ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

---

მეუღლე დოდო ყვავილაშვილი, შვილები ლალი, თამუნა, ვახტანგ შატაიძეები, და თამილა, დისწული დეა, ნინო მალლაკელიძეები, ციცინო და გურამ შატაიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ვახტანგის ძე შატაიძე

პანაშვიდი 12, 13 II, 16 სთ. დაკრძალვა 14 II, 14 სთ. მის. ოქროყანის 17.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 64 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, უმწიკვლო პიროვნება და შემოქმედი

ნუგზარ შატაიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ხსოვნა

# სოსლან ადამია

ჩვენი ქვეყნის ამაგდარ და ღირსეულ ადამიანთა ძველი თაობის რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი სამხედრო სპეციალისტი და სახელმწიფო მოხელე, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება, თადარიგის პოლკოვნიკი სოსლან გრიგოლის ძე ადამია.

ქალაქმა, ოჯახმა, ახლობლებმა დაკარგეს ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, კეთილშობილებით, მაღალი ზნეობითა და ღირსებებით გამორჩეული ადამიანი, ძალზე ავკარგიანი, დარბაისელი მოსიყვარულე მეგობარი.



ს. ადამიას, როგორც პიროვნების და მოქალაქის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მის მიერ განვლილმა პროფესიული და მოქალაქეობრივი ცხოვრების ღირსეულმა გზამ.

ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლისა და საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი 1946 წლიდან ქართული 414 მოტომსროლელი დივიზიის სამხედრო მოსამსახურეა; შემდეგ წლებში იგი მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში, მათ შორის გერმანიაში, სადაც ჯერ იყო საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსის მოადგილე, ხოლო შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ქ. როსტოვის სამხედრო კომენდანტი.

1971 წლიდან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ს. ადამია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ გენერალური დირექტორის მოადგილეა კადრებისა და რეჟიმის დარგში, ხოლო 1976 წლიდან 1979 წლამდე იგი მუშაობს ქ. მოსკოვში ავტომატიზაციისა და ხელსაწყოთმშენებლობის საკავშირო სამინისტროს კადრების სამმართველოში.

1979 წელს ს. ადამია დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ობიექტის სამოქალაქო შტაბის უფროსად, სადაც შემდგომ აგრძელებს მუშაობას 1994 წლამდე, — საქმეთა მმართველობის ჯგუფის გამგედ, საქმეთა მმართველობის მეორე განყოფილების სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად, სახელმწიფო კანცელარიის უშიშროების და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის საკითხთა სახელმწიფო მრჩევლის მოვალეობის შემსრულებლად, უშიშროებისა და თავდაცვის განყოფილების სახელმწიფო მრჩევლად, მართლწესრიგის, თავდაცვის, უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციების საკითხთა სახელმწიფო მრჩევლად.

აღსანიშნავია მისი პედაგოგიური საქმიანობაც, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „ვიტას “ სამხედრო კათედრაზე, სადაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი უდიდესი გამოცდილება და პროფესიონალიზმი.

ზემოაღნიშნულ პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ს. ადამია ეწეოდა მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ორ ათეულ წელზე მეტია იგი სამხედრო მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის აქტიური წევრი და ამ კავშირის მესვეურთა დიდი მეგობარი და მოამაგე იყო. სწორედ ამ დარგში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა იგი საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების მედლით.

ს. ადამიას საქმიანობა აგრეთვე სხვა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი არის აღნიშნული. მას სადაც კი უმუშავია მეტად შთამბეჭდავი, პროფესიული და საქმიანი კვალი აქვს დატოვებული.

ყოველთვის სათანადო ღირსებით წარმოჩენილი მისი ცხოვრების წესი და რიგი, მოქალაქეობრივი მრწამსი, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, უანგარობა და პასუხისმგებლობა ახასიათებდა მის პიროვნებას, რისთვისაც მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

მაღალი დონის სამხედრო სპეციალისტი და სახელმწიფო მოხელე, მრავალი ღირსებით შემკული ადამიანი, — ასე იცნობდნენ ს. ადამიას და ასეთივედ დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში მისი გარდაცვალებით გამოწვეულ გულისტკივილთან ერთად.

ღმერთმა ნათელი დაგადგას, კარგო კაცო; მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

ახლობლები, მეგობრები

---

SIC!

# უკანონო სტრუქტურის უკანონო გადაწყვეტილება

**ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსეთის აგრესიის დროს ქართული სამხედრო შენაერთები გაცილებით უფრო ორგანიზებულად და დისციპლინირებულად გამოიყურებოდნენ, ვიდრე ეს აფხაზეთის ომის დროს იყო. თუმცა, სპეციალისტები იქვე დასძენენ, რომ 15-16 წელი, მილიარდობით უცხოური კრედიტი, ნამდვილად არ შეესაბამება სასიკეთო ძვრების მასშტაბებს, ამ დროისა და თანხების პირობებში გაცილებით მეტი უნდა გაკეთებულიყო.**

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არეულობისა და სწრაფი უკანდახევის პირობებში, ჩვენს მაღალჩინოსნებს რაღაც ახალი, სტრუქტურების მოშველიება არ უცდიათ.

არადა, გასული საუკუნის მიწურულს მსგავსი უკანონო სტრუქტურა, მთავარსარდლის და თავდაცვის მინისტრის ბრძანების გარეშე შექმნა სოხუმის რეგიონის მთავარი სამხედრო შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა პაატა დათუაშვილმა (პოლკოვნიკ გია ყარყარაშვილთან ერთად მოსკოვში ააფეთქეს 1994 წელს. დათუაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ექსთავდაცვის მინისტრი სამუამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის სავარძელს). ეს იყო რაღაც საველე სასამართლოს მსგავსი ორგანო, რომელსაც პოლკოვნიკი გია ეზიაშვილი ხელმძღვანელობდა. მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურა, ასამართლებდა სამხედროებს.

ამ უკანონო სტრუქტურამ მიუსაჯა დახვრეტა თბილისელ გია ხაჩირაშვილს, რომელიც სოხუმში მოხალისედ წავიდა და 102-ე ბატალიონში ჩაირიცხა.

როგორც თვითმხილველები იხსენებენ, ბატალიონი სოფელ შრომაში იყო დისლოცირებული. მეზობელი სოფლები ახალშენი და შუბერი აფხაზებს ჰქონდათ დაკავებული.

2 ნოემბერს ხაჩირაშვილი და კიდევ სამი ჯარისკაცი დაზვერვაზე გააგზავნეს. მათ ხელმძღვანელად დაინიშნა ოცეულის მეთაური ვლადიმერ სელეპანოვი.

დაზვერვამ დავალება შეასრულა, მაგრამ უკან დაბრუნებისას მოწინააღმდეგეს გადაეყარნენ. ატყდა ორმხრივი სროლები, ოცმეთაური სელეპანოვი გარდაიცვალა, დანარჩენებს ტყვიები გაუთავდათ. ისინი მტერმა ტყვედ აიყვანა. ხაჩირაშვილმა როგორღაც მოახერხა გაქცეოდა აფხაზებს. თავისი ბატალიონი იპოვა და თანამებრძოლებს შეუერთდა.

1992 წლის 9 ნოემბერს დათუაშვილის უკანონოდ შექმნილმა სასამართლომ ეზიაშვილის თავმჯდომარეობით გია ხაჩირაშვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მიზეზი — მტრისთვის სამხედრო საიდუმლოების გამხელა და ტოპოგრაფიული რუკების გადაცემა იყო. უკანონო სტრუქტურის უკანონო განაჩენი იმ დღესვე იქნა აღსრულებული. მომხდარის შესახებ ინფორმაცია გადმოსცა ტელევიზიამ.

როგორც ხაჩირაშვილებთან დაახლოებული პირები აცხადებენ, ამის შემდეგ გიას მშობლებისთვის საშინელი პერიოდი დადგა. დედმამა სამსახურებიდან გაათავისუფლეს, მეზობლები სალამზე აღარ პასუხობდნენ და ა. შ.

2002 წელს მოხერხდა სიმართლის დადგენა — ხაჩირაშვილი, გაამართლეს, ანუ მოხდა მისი რეაბილიტაცია. დამტკიცდა, რომ ხელმძღვანელობის დავალების შესრულების დროს ხაჩირაშვილს თან არავითარი ტოპოგრაფიული რუკა არ ჰქონია.

ამის შემდეგ რეაბილიტირებულის ოჯახის წევრებს გაუჩნდათ ახალი პრობლემა — დახვრეტილის საფლავის მოძიება. თვითმხილველებმა ხაჩირაშვილის ახლობლებს რამდენიმე ადგილზე მიუთითეს, მაგრამ იქ დასაფლავებულნი სხვები აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინიც უპატრონო ჯარისკაცთა კატეგორიაში გადიან.

შვილმკვდარი დედა შვილის საფლავის ძებნასთან ერთად სასამართლოში შეტანილი სარჩელით მოითხოვს მისი ოჯახისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას. მაგრამ ჩვენმა რეფორმირებული სასამართლოს მოსამართლეებმა ისიც არ იციან, რომ ამგვარ დანაშაულზე ხანდაზმულობის წესი არ მოქმედებს.

ჩვენმა ხელისუფლებამ კი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მსგავს დანაშაულებს ხანდაზმულობის ასაკი არა აქვთ და, ადრე თუ გვიან, პირტიტველა 18-19 წლის ბიჭების დეზერტირობის მუხლით ციხეში შეყრისათვის პასუხი მათაც მოეთხოვებათ!

ზაზა ბილიხოძე

---

გახსენება

# ნანული დემეტრაშვილი



ჩვენო ძვირფასო და საყვარელო დედიკო, აი უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, მეუღლის, შვილების, შვილიშვილების მოსიყვარულე, ყველასათვის კარგო ადამიანო. ძალიან გვენატრები, ისე ჩვენ არა გვიჭირს, მხოლოდ შენი სითბო, ალერსი და სიყვარული გვაკლია, უფალ ღმერთს ვევედრებით — ნათელში ამყოფოს შენი სული.

მაიკო, ამირანი, შოთა დემეტრაშვილები ოჯახებით.

---



მეუღლე ნინო აბულაძე, შვილები ელენე, ლექსო ბუსხრიკიძეები, მშობლები ივანე ბუსხრიკიძე, ნაზი კიპაროიძე, და მაია ბუსხრიკიძე, ძმისწულები, დისწულები, რძალი მანანა ყიფშიძე, სიძე ავთო ციგრიაშვილი იუწყებიან

გიზო ივანეს ძე ბუსხრიკიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში, 12 II, 14 სთ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ავთანდილ ცაგარეიშვილს ცოლის ძმის

გიზო ბუსხრიკიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება რეზო ბაირამაშვილის მეუღლის ქალბატონ

თინათინ დავითაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

შპს „ლიბო ჯგუფი“ იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი

ვახტანგ ჯანელიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯხს.

---

გამომცემლობა „ბაკგი“ თავის თანამშრომლებთან და ავტორებთან ერთად სამძიმარს უცხადებს რუსუდან მოსიძესა და თემურ ფუტკარაძეს მამისა და მამამთილის

გიორგი (გივი)ძ ფუტკარაძის

გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

### ლტოლტრონის პრინციპი — ამჯერად დევნილთა ნაკვეთებისათვის

**ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა გუშინ სოფელ კოდაში ჩასახლებული რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა მოინახულა და მიწის ნაკვეთების გადაცემის პრინციპები გააცნო.**

დაზარალებულებს სოფლიდან ნახევარ კილომეტრში მდებარე მიწის ნაკვეთები ლოტოტრონის პრინციპით 11 თებერვალს გადაუნაწილდებათ. სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფო დაზარალებულ მოსახლეობას ტექნიკური აღჭურვილობით, საწვავითა და სათესლე მასალით დაეხმარება, ასევე მოაწესრიგებს სარწყავ სისტემას.

სოფელ კოდაში 446 ოჯახია ჩასახლებული. თითოეული ოჯახი საკუთრებაში ნახევარ ჰექტარ მიწის ნაკვეთს მიიღებს.

### განიხილავს სტრასბურგის სასამართლო

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრმა" სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული 77 ადამიანის საქმე გააგზავნა.**

როგორც ორგანიზაციიდან იტყობინებიან, საჩივარი ეხება ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლებაძ, მე-3 (წამების აკრძალვაძ, მე-8 (პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებაძ, მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვაძ და კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლებაძ სავარაუდო დარღვევის შემთხვევებს. განაცხადი მიმართულია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი" აგრძელებს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ პირთა სამართლებრივ დახმარებას გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში ინდივიდუალური განაცხადების წარდგენისა და წარმოების გზით.

### დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილები

**თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა რომან ქრისტესიაშვილი და გელა კოჩიევი დააკავეს.**

ისინი 1948 წელს დაბადებულ ხვთისო არჩემაშვილის განზრახ მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილები.

დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის დაკავებულია აგრეთვე ლიდა მაისურაძე.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს.

ინტერპრესნიუსი

**შპს „ჯორჯიან მედია ჰოლდინგის" და შპს „ი-მედია კონსეპტის"** დირექტორები აცხადებენ, რომ 29.12.2008 წლის შპს „ჯორჯიან მედია ჰოლდინგის" და შპს „ი-მედია კონსეპტის" პარტნიორთა კრებების გადაწყვეტილებით დაიწყო აღნიშნულ მეწარმე სუბიექტების რეორგანიზაციის პროცესი. კერძოდ, შპს „ი-მედია კონსეპტი" უერთდება (შერწყმაძ შპს „ჯორჯიან მედია ჰოლდინგს", რის შედეგადაც შპს „ჯორჯიან მედია ჰოლდინგი" გახდება შპს „ი-მედია კონსეპტის" უფლებამონაცვლე.

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, ალექსიძის ქ. №3. საკონტაქტო ტელეფონი: 822 18 06 56.**

## ზოოპარკი


ფარშევანგები


სირაქლემები

# გინახავთ სადმე პატარა პანგოლინი?

**თბილისის ზოოლოგიურ პარკს არასოდეს არ აკლდა დამთვალიერებელი განურჩევლად ასაკისა, მაგრამ ახლა ამინდით განებივრებულნი, უფრო ხშირად სტუმრობენ დედაქალაქის ცენტრში განთავსებულ ამ პაწაწუნა ოაზისს. თბილისის ზოოპარკს რეკლამას არ ვუკეთებთ, მაგრამ ხელმძღვანელობის ძალისხმევით მართლაც გალამაზდა აქაურობა, არამარტო ატრაქციონებითა და გასართობი მოედნებით, არამედ, რაც მთავარია „ეგზოტიკური მაცხოვრებლებითაც".**

ახლა თბილისელებსა და თბილისის სტუმრებს შეუძლიათ აქ პირველად იხილონ საჰარის უდაბნოს მკვიდრი მცირე მანგუსტი, რომელიც ხვლიკებით, შხამიანი გველებითა და მღრნელებით იკვებება (საინტერესოა, ჩვენ რა რაციონს შევთავაზებთძ, აქვე ნახავთ კამერუნული თხების მთელ ჯოგს, ვარდისფერ ვარხვს, რუხგვირგვინოსან წეროს.


მცირე აფრიკული მანგუსტი

როგორც ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ გვითხრა, სულ მალე თბილისის ზოოპარკში ჩამოიყვანენ აფრიკის კონტინენტის ერთ-ერთ უცნაურ მობინადრეს პანგოლინს.


ჰანგოლინი (ინტერნეტფოტოძ

ამ იშვიათ ცხოველს სტეპის ხვლიკს უწოდებენ, ძალიან წააგავს ჭიანჭველაჭამიას. სანამ ჩვენს პარკს შეემატება პანგოლინი, მკითხველს ვთავაზობთ მისი ფოტოს ინტერნეტვერსიას. აგრეთვე დაგეგმილია სხვადასხვა სახეობის ცხოველების ჩამოყვანა.

ასე რომ, თბილისელებს შესაძლებლობა ექნებათ, თითქმის ჯერაც უცნობი ცხოველების ხილვისა.

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
**ავტორის ფოტო.**


კამერუნული თხები


განახლებული საბავშვო ატრაქციონები

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ფერებს ვერ არჩევს? — დალტონიკი.

იმ კაცს რა ჰქვია, ვინც ფერებს არჩევს? — რასისტი.

* * *



ალკოჰოლი კლავს ტვინის უჯრედებს, მაგრამ ყველას კი არა, არამედ მხოლოდ მათ, რომლებიც უარს ამბობენ დალევაზე.

* * *

— საბოლოოდ გეკითხებით, რატომ გინდათ ცოლთან განქორწინება? — ინტერესდება მოსამართლე.

— ცოლს ბიჭის ყოლა უნდოდა, მე კი წინააღმდეგი ვიყავი.

— რატომ? ბავშვები ხომ ოჯახს ალამაზებენ.

— მაგრამ მას ოცი წლის ბიჭის ყოლა სურდა!

* * *

აი, მეც გავხდი ცნობილი ადამიანი: გუშინ ცოლმა ფეხსაცმელი მესროლა.

* * *

მეუღლეთა აზრები ზოგჯერ შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, როგორც ეს მუდამ ხდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.